პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 284 (20630) ◆ სამშაბათი, 12 დეკემბერი, 1989 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

11 დეკემბერს კრემლში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მუშაობის ორგანიზაციის საკითხები.

იმსჯელეს და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენელთა კრების განსახილველად გადასცეს მეორე ყრილობის დღის წესრიგთან და მუშაობის წესთან დაკავშირებული წინადადებანი.

შეაჯამეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მოსამზადებელი კომისიის მუშაობის შედეგები. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. ლუკიანოვმა.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ცნობის გამო, რომელიც გააკეთა ა. ს. ძასოხოვმა, განიხილეს მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის საკითხი. დაამტკიცეს პრემიის ახალი სტატუსი და დებულება მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის კომიტეტის შესახებ.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დავალების შესაბამისად დამტკიცდა წესი, თუ როგორ უნდა გამოიყენონ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დადგენილება „ავღანეთში საბჭოთა ჯარების კონტინგენტის იმ ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ამნისტიის შესახებ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს". ინფორმაცია ამ საკითხზე გააკეთა სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ე. ა. სმოლენცევმა.

სხდომაზე განიხილეს სახელმწიფო ცხოვრების სხვა საკითხები.

(საქდისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1989 წლის 9 დეკემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი. პლენუმის განსახილველად გამოტანილი იყო შემდეგი საკითხები.

1. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა.
2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შექმნა.
3. გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების დანიშვნა.
4. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი კომუნისტებისადმი.

პირველ საკითხზე ინფორმაციით გამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი.

მეორე საკითხზე — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შექმნის შესახებ" — გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

პლენუმზე გამოვიდნენ: ბ. ბ. გიდასპოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი, ვ. კ. მესიაცი — სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ს. ა. მედვედევი — ყაზახეთის კომპარტიის ჩრდილოეთ ყაზახეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ნ. სლიუნკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ვ. ა. მასოლი — უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ა. პატრიკეევი — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, ა. გ. მელნიკოვი — სკკპ კემეროვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ა. ლოგუნოვი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ა. ა. მალოფეევი — ბელორუსიის კომპარტიის მინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. ბაკატინი — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ტ. ი. სნეტკოვა — ლენინგრადის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პოზიტრონის" მიკროსქემების ამწყობი, ი. ა. პროკოფიევი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. მ. ზამიატინი — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდ ბრიტანეთში, ო. ვ. ზინჩენკო — ბალტიისპირეთის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი, ვ. გ. აფონინი — სკკპ კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ბ. ჩაკოვსკი — სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ლ. ი. ხიტრუნი — სკკპ რიაზანის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ვ. ვლასოვი — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ვ. ს. პასტერნაკი — სკკპ ხაბაროვსკის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ი. კ. პოლოზკოვი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. ვოროტნიკოვი — რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ვ. ვ. კარპოვი — სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი, ვ. ი. ზორკალცევი — სკკპ ტომსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი, რომლებიც პრესაში ქვეყნდება.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაასახელა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად და მიიღო დადგენილება ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების მოწყობის შესახებ.

პლენუმმა მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა „საბჭოთა ხალხს, კომუნისტებისადმი", რომელიც პრესაში გამოქვეყნდება.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ა. ივაშკო აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

პლენუმმა ი. ტ. ფროლოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად და დაამტკიცა გაზეთ „პრავდის" მთავარ რედაქტორად.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა II ყრილობის საკითხთა გამო

ამხანაგებო!

პოლიტბიურომ საჭიროდ ცნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმზე გაგიზიაროთ აზრი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის საკითხებზე, რომელიც მუშაობას შეუდგება სამი დღის შემდეგ.

ყველა ჩვენგანისათვის ცხადია ამ მოვლენის მნიშვნელობა. მთელი ჩვენი საზოგადოება დაინტერესებულია ყრილობის მუშაობის ფორმატებით, იმით, რომ მისი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა დღეს საარსებოდ აუცილებელია. როგორც მოგეხსენებათ, ყრილობას ამზადებს სპეციალურად შექმნილი დეპუტატთა კომისია. დადგენილია, რომ იგი გაიხსნება ა. წ. 12 დეკემბერს და დამთავრდება დაახლოებით 22 დეკემბერს. ცენტრალური კომიტეტის წევრები და პლენუმის სხვა მონაწილეები გაეცნენ წინადადებებს ყრილობის დღის წესრიგის გამო. დეტალებზე არ შევჩერდები და გამოვთქვამ ზოგიერთ მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რით იყო ნაკარნახევი ამ საკითხების გატანა ყრილობის განსახილველად.

უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგს უნდა შევხედოთ ჩვენს საზოგადოებაში შექმნილი რეალური სიტუაციის კონტექსტით და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს მიერ გაწეული მუშაობის გათვალისწინებით.

სახალხო დეპუტატთა მომავალი ყრილობის დღის წესრიგის გამო, მე ვიტყოდი, ცხარე დისკუსია მიმდინარეობს. იმ საკითხებთან ერთად, რომლებიც წინასწარი წესით მოამზადა და მოიწონა უზენაესმა საბჭომ ყრილობაზე განსახილველად, შემოჰქონდათ მრავალი სხვა საკითხი. კერძოდ, წამოყენებული იყო წინადადება განგვეხილა და ამ ყრილობაზევე მიგვეღო კანონები საკუთრების, მიწის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის, საგადასახადო პოლიტიკის შესახებ და სხვა.

დაჟინებით აყენებენ საკითხს, რომ დღის წესრიგში შევიტანოთ სსრ კავშირის კონსტიტუციის მთელი რიგი დებულებების, მათ შორის მე-6 მუხლის გადასინჯვა, რომელიც ეხება პარტიის როლს საზოგადოებაში, აგრეთვე იმ მუხლების გადასინჯვა, რომლებიც საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოების კომპეტენციის განკუთვნებას ეხება. თქვენ გახსოვთ, რომ ყოველივე ეს საფუძვლიანად განიხილეს და ამის შედეგად უზენაესმა საბჭომ მოგვცა რეკომენდაცია დღის წესრიგში შეგვეტანა თქვენთვის ცნობილი საკითხები. მაგრამ მე არ მინდა შემოვიფარგლო ამ კონსტატაციით. ცხადია, ეს უნდა განვმარტოთ.

არავინ არ აყენებს ეჭვქვეშ იმ უდიდეს მნიშვნელობას, ჩვენთვის, გარდაქმნის შემდგომი განვითარებისათვის რომ აქვს საკანონმდებლო აქტების მიღებას, ვინაიდან ისინი შეადგენენ იმ ეკონომიკური სისტემის სამართლებრივ საფუძველს, რომელსაც ჩვენ რადიკალურად ვაახლებთ. ეს ყველას კარგად ესმის. მაგრამ სწორედ აღნიშნული კანონების საკანონმდებლო მნიშვნელობა მოითხოვს მათი ყველაზე ღრმა, გულმოდგინე და სავალდებულო განხილვას — მე ვიტყოდი კონსულტაციებს მთელ საზოგადოებასთან, რამეთუ მათთან იქნება დაკავშირებული ქვეყნის, შრომითი კოლექტივების, თითოეული ადამიანის მთელი შემდგომი ბედი.

ამას იმიტომ ვამბობ, რომ დეპუტატთა ნაწილმა გამოთქვა შიშები, რომლებმაც შეიძლება შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ვინმეს სურდეს გააჭიანუროს ამ კანონების მიღება და ამით დააფერხოს ძირეული ეკონომიკური ცვლილებები, გარდაქმნა. ეს არ შეესაბამება ნამდვილ საქმის ვითარებას. ჩვენ ყველანი მოწადინებული ვართ, რაც შეიძლება სწრაფად მივიღოთ დასახელებული კანონები. ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდგომ მუშაობაში.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ფართოდ განვიხილეთ უზენაესი საბჭოს სხდომაზე დღის წესრიგის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით და ახლა, ყრილობის წინ, საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში რჩება. მხედველობაში მაქვს საკითხი სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესახებ, რომელიც საზოგადოებაში პარტიის ხელმძღვანელ როლს ეხება.

პრინციპული თვალსაზრისით მე და სხვა ამხანაგებმა უკვე ვილაპარაკეთ ამ საკითხზე. მაგრამ, როგორც ჩანს, ცენტრალურმა კომიტეტმა ზუსტი და მკაფიო პოზიცია უნდა დაიკავოს ამის თაობაზე. ჩვენი პრინციპული პოზიცია ის არის, რომ მტკიცედ ვუჭერთ მხარს ავანგარდული პარტიის ლენინურ კონცეფციას. ჩვენი ქვეყნის განვითარების ახლანდელ, ბედის გადამწყვეტ ეტაპზე საარსებოდ საჭიროა ძლიერი პოლიტიკური პარტია, რომელსაც უნარი შესწევს გააერთიანოს ხალხის მთელი ჯანსაღი ძალები სოციალიზმის განახლების ისტორიული ამოცანის გადასაწყვეტად.

ეს არის საქმის არსი. ჩვენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიგვაჩნია მაკონსოლიდირებელ, გამაერთიანებელ ძალად, საბჭოეთის რევოლუციური განახლების, მისი ძლიერების შენარჩუნებისა და ზრდის, საერთაშორისო ავტორიტეტისა და პრესტიჟის განმტკიცების გარანტიად. ჩვენთვის ასევე ნათელია, რომ პარტიის ავტორიტეტს, მისდამი ნდობას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად წარმატებით ასრულებს იგი საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდის როლს. ისე წარმოვსახოთ საქმე, თითქოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მდგომარეობას მხოლოდ მე-6 მუხლი განსაზღვრავდეს, — ნიშნავს შეცდომაში შევიყვანოთ ადამიანები, თავგზა ავუბნიოთ მათ. პარტიის მნიშვნელობის დაკნინების, მშრომელთა შორის მისი ავტორიტეტის შერყევის ცდების წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს. ეს ცხადი უნდა იყოს.

აქედან გამომდინარეობს ჩვენი დამოკიდებულება მე-6 მუხლისადმი. ჩვენ მეთოდურად და ვადგავართ საზოგადოების გარდაქმნის გზას, წინ არის ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი რეფორმების, საბჭოთა ფედერაციის გარდაქმნის ახალი ეტაპები. ყოველივე ეს მოითხოვს სსრ კავშირის კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანას, ხოლო საბოლოო ანგარიშით — ახალი ძირითადი კანონის შექმნას. ამ პროცესის ფარგლებში ყოველი მუხლი შეიძლება გახდეს ხელახალი გააზრების საგანი ან ამოღებულ იქნეს. ეს სავსებით ეხება მე-6 მუხლს, მით უმეტეს, რომ ლენინის დროს მიღებულ პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში ასეთი სპეციალური ჩანაწერი პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ არ ყოფილა. 1936 წლის კონსტიტუციაც ამ თემას მხოლოდ მოქალაქეთა გაერთიანების უფლებასთან დაკავშირებით ეხება.

უნდა დავძინოთ, რომ დემოკრატიული პროცესის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განახლების პირობებში ეს მუხლი თავისთავად არავითარ დაბრკოლებებს არ უქმნის თავისუფალ არჩევნებს. ეს გვიჩვენა უზენაესი საბჭოს არჩევნებმაც და იმანაც, თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ხელისუფლების ადგილობრივი და რესპუბლიკური ორგანოების არჩევნებისთვის. ასეთივე დასკვნა გამომდინარეობს ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების ახლად შექმნილი ორგანოების საქმიანობიდან, სადაც დემოკრატიზმი, ფართო კარგახსნილობა, აზრთა თავისუფლება სუფევს.

ამიტომ მოთხოვნა „სასწრაფო წესით" გავიტანოთ განსახილველად მე-6 მუხლის საკითხი, მისთვის საგანგებო მნიშვნელობის მინიჭების ცდები სულ სხვა მიზნებს ისახავს. ასეთი გზით ცდილობენ კომუნისტების დემორალიზებას, მათი აქტიურობის დაქვეითებას გარდაქმნის გარდამტეხ ეტაპზე, პარტიის დაპირისპირებას მშრომელებისადმი. ჩვენ ამგვარი ცდების გადაჭრით წინააღმდეგი ვართ. ისინი იწვევს მრავალი საბჭოთა ადამიანის პროტესტს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიაჩნიათ თავიანთი ინტერესების დამცველად, აფასებენ მის ერთგულებას გარდაქმნისადმი, სოციალიზმისადმი, სურთ, რომ იგი იყოს გადამწყვეტი რევოლუციური მოქმედების პარტია.

საჭიროდ მიმაჩნია დღეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განვაცხადო: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კარგახსნილია საზოგადოების განახლებისათვის მებრძოლ მთელ საზოგადოებრივ ძალებთან ფართო დიალოგისათვის, დაინტერესებულია მათი თანამშრომლობითა და კონსოლიდაციით, იგი მხარს უჭერს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაგროვილი ყველა პრობლემისადმი კონსტრუქციულ მიდგომას. და რაც მთავარია — პარტია მტკიცედ დაიცავს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესის გაშლის გზას.

გარდა ამისა, პარტია დაადგა ძირეული განახლების გზას, და ეს პროცესი მისი საქმიანობის ყველა მხარეს მოიცავს. ჩვენ ვეგებებით სკკპ XXVIII ყრილობას, მზადდება ახალი წესდება და საპროგრამო მნიშვნელობის დოკუმენტი. როგორი უნდა იყოს პარტია ახლანდელ პირობებში, როგორია მისი როლი თანამედროვე საზოგადოებაში — ყოველივე ეს უკვე ახლაა საყრილობო დისკუსიის ყურადღების ცენტრში და წამყვან ადგილს დაიკავებს თვით პარტიული ყრილობის მუშაობაში.

რამდენადაც დღის წესრიგის ირგვლივ დისკუსიის მიღმა შეიმჩნევა შეშფოთება რომელიღაც პრობლემების [გადაუწყვეტლობის] გამო, იმის გამო, რომ ეს შეაკავებს გარდაქმნას, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმის განხორციელების პროცესებს, მინდა გამოვთქვა წინადადება, რომლის გამო მოთათბირებასაც ვაპირებთ მეორე ყრილობაზე.

აქ მინდა მოვიშველიო პრეცედენტი. როგორც ცნობილია, უზენაესმა საბჭომ მოამზადა საკმაოდ სერიოზული ცვლილებანი კონსტიტუციის იმ კართა გამო, რომლებიც საარჩევნო სისტემას ეხება, და ისინი შემოტანილია ყრილობის დასამტკიცებლად. მაგრამ ჯერ კიდევ ყრილობის მიერ ამ ცვლილებების მიღებამდე საჭიროდ ვცანით მათ საფუძველზე გაჩაღებულიყო კანონშემოქმედებითი მუშაობა ხელისუფლების რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების არჩევნების მოსამზადებლად.

ამ პრეცედენტით შეიძლებოდა გვესარგებლა იმასთან დაკავშირებითაც, რომ დავაჩქაროთ ზემოთ ნახსენები საკუთრების, მიწის, სოციალისტური საწარმოს, საგადასახადო სისტემის შესახებ უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების მიღება. ყრილობა მიანიჭებდა უფლებამოსილებას უზენაეს საბჭოს შემოეღო ისინი სამოქმედოდ კონსტიტუციის საჭირო შესწორებებთან ერთად, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ამ საკითხს განვიხილავთ და დავამტკიცებთ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მომდევნო, III ყრილობაზე.

ამრიგად, ჩვენში წარიმართება თითქოსდა კონსტიტუციური სივრცის თანდათანობით განახლების, იმ ახალი ფუძემდებელი აქტებით შევსების პროცესი, რომლებიც გარდაქმნის მსვლელობაში იშვება. დარჩება ძირითადი კანონი, ურომლისოდაც ვერ გაძლებს სახელმწიფო, და ამავე დროს აღმოიფხვრება განსხვავება სამართლებრივ ნორმასა და სინამდვილეს შორის.

სხვათა შორის, ამაზე იყო სჯა-ბაასი კონსტიტუციური კომისიის სხდომაზე, სადაც განვიხილეთ კონცეპტუალური მიდგომები ძირითადი კანონის შემუშავებისადმი. შეიძლება წარმოიშვას და მართლაც აღიძრა საკითხი ახალი კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების დაჩქარების შესახებ. აქ საჭიროა სრული სიცხადე: არ შეიძლება შევქმნათ ახალი კონსტიტუცია მანამ, სანამ ჩვენში მეტნაკლებად მკაფიოდ განისაზღვრება განახლებული საზოგადოებრივი მექანიზმის კონტურები, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ოპტიმალური სტრუქტურა, პოლიტიკური ძალების თანამოქმედების წესი, ეკონომიკური სისტემის აგებისა და ფუნქციონირების პრინციპები, სამოქალაქო უფლებების განხორციელების [გარანტიები], ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების, ჩვენი ფედერაციის ფორმები, სამართლებრივი სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ხასიათი.

ყოველივე ეს ახლა ჩამოყალიბების პროცესშია, ზევრ კითხვას ჯერ კიდევ პასუხი უნდა გავცეთ. და ამ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, აზრი არა აქვს ახალი კონსტიტუციის მიღების დაჩქარებას. ასეთი მიდგომა სახიფათო მდგომარეობაში ჩაგვაყენებდა: ახალი ძირითადი კანონი რომ მიგვეღო, უკვე მეორე ან მესამე დღეს იძულებული გავხდებოდით შეგვეტანა მიგ შესწორებანი, და ამით სერიოზულ განსაცდელში ჩავაგდებდით მის პრესტიჟს. ამასთანავე, ამხანაგებო, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ლაპარაკია საბჭოთა ხელისუფლების ისტორიის მანძილზე უკვე მეხუთე კონსტიტუციის შესახებ. მოდით, ამჯერად შევქმნათ კანონი, რომლითაც ქვეყანა დიდხანს იცხოვრებს.

ყოველივე ამას რომ ვამბობ, ამხანაგებო, მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ასეთი მიდგომა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, თითქოს ვაპირებდეთ გვერდი ავუაროთ პრობლემებს, რომლებიც დღეს ან ხვალ გვაქვს გადასაწყვეტი. იქ, სადაც კონსტიტუციური ნორმები ამაში ხელს გვიშლის, ისინი, რასაკვირველია, უნდა გადავსინჯოთ, რათა ხელოვნურად არ შევაკავოთ გარდაქმნის პროცესები, საზოგადოების განახლება.

ყრილობის დღის წესრიგის საკვანძო საკითხი — და ამაზე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა — ეს არის მთავრობის მოხსენება „ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებების, ეკონომიკის რეფორმის პრინციპებისა და მეცამეტე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისადმი პრინციპული მიდგომების შესახებ".

ქვეყნის მშრომელები, მთელი მოსახლეობა მოელიან პასუხს კითხვებზე: როგორია მოქმედების გეგმა, რათა მოიხსნას დაძაბულობა ფინანსებში და სამომხმარებლო ბაზარზე, როგორ დავაჩქაროთ ეკონომიკური ცვლილებები, რათა უფრო სწრაფად მივანიჭოთ ჩვენს სახალხო მეურნეობას ახალი დინამიკა, გავხადოთ იგი ნამდვილად ეფექტიანი, ადამიანებისა და საზოგადოების მრავალფეროვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარის მქონე.

უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადაიდგა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის დამტკიცებული სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში. ახლა საჭიროა უზრუნველვყოთ წარმოებაში, ფინანსებში, სოციალურ სფეროში ყველა დასახული მაჩვენებლის შესრულება. ერთი სიტყვით, გეგმის შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს — ეს ყველას კარგად უნდა ესმოდეს, აქ უზადოა პარტიული ორგანიზაციების ახსნა-განმარტებითი და სხვა მრავალმხრივი [პრაქტიკული] მუშაობა.

ახლა ჩვენ თვალი უნდა მოვავლოთ 1991 წელსაც და უახლოეს პერსპექტივასაც. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით ილაპარაკებს თავის მოხსენებაში ნ. ი. რიჟკოვი. მინდა გამოვთქვა კიდევ რამდენიმე მოსაზრება, რომლებსაც, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვიცით, რაოდენ მწვავე დისკუსია მიმდინარეობს ეკონომიკაში ახლანდელი სირთულეების დაძლევის, მისი ჯანსაღი, სტაბილური განვითარების გზების მიგნების თაობაზე. მეორე ყრილობაზე ერთგვარად უნდა შევაჯამოთ ყოველივე ეს, ყოველმხრივ განვიხილოთ მთავრობის მიერ შემოთავაზებული ღონისძიებანი, შევავსოთ ისინი, თუ საჭირო გახდება, შევიმუშაოთ კიდეც ამ საფუძველზე მოქმედების ზუსტი, კონკრეტული პროგრამა. საჭიროა ყრილობაზე ამ საკითხის კონსტრუქციული, აწონ-დაწონილი, პასუხისმგებლური განხილვა. მინდა ამისათვის მოვუწოდო ყველა სახალხო დეპუტატს.

რატომ მიმაჩნია საჭიროდ ამის თქმა? საქმე ის გახლავთ, რომ მეცნიერთა შორისაც, სპეციალისტთა შორისაც და საზოგადოებაშიც აზრთა დაქსაქსვა საკმაოდ ფართოა. არადა, ჩვენ ხომ საბოლოო ანგარიშით შეთანხმებულ აზრამდე უნდა მივიდეთ. ამიტომ ძალზე ყურადღებიანი უნდა ვიყოთ, მოვისმინოთ ყველა მხარის არგუმენტები და კონსტრუქციულად ვიმოქმედოთ.

ვერ დავეთანხმებით უკიდურესობებს, რომლებიც დისკუსიის დროს გამჟღავნდა. ერთი მხრივ, —ეს არის მოწოდება დავუბრუნდეთ მეურნეობრიობის ძველ, სახელგატეხილ მბრძანებლურ მეთოდებს, ხოლო, მეორე მხრივ, —ეს არის მოთხოვნა ვიაროთ წინ დაჩქარებული ტემპით, ამასთან არ გავუწიოთ ანგარიში არც რეალურ შესაძლებლობებს, არც საზოგადოების განწყობილებას, და არც იმას, თუ რამდენად მზად არიან ჩვენი ადამიანები საამისოდ. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს არ არის აკადემიური საკითხი, ლაპარაკია იმ პრობლემების გადაჭრაზე, რომლებიც სისხლხორცეულად ეხება მილიონობით ჩვენი თანამემამულის ბედს. გზის არჩევაში მცდარი ორიენტაცია დაღს ასვამს მშრომელთა მატერიალურ მდგომარეობას და, მაშასადამე, გარდაქმნისადმი მათს დამოკიდებულებას, მას შეიძლება მოჰყვეს ის, რომ საზოგადოება დაკარგავს პერსპექტივას.

პარტიამ კვლავ და კვლავ უნდა დაადასტუროს თავისი პრინციპული პოზიცია, რომელიც შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: განუხრელად ვიაროთ წინ რეფორმების გზით, გულმოდგინედ შევუფარდოთ წინსვლის ტემპი ქვეყნის რეალურ შესაძლებლობებს და საბჭოთა ადამიანების საარსებო ინტერესებს.

საჭიროა, საზოგადოების ყველა ფენამ შეიგნოს: წარმოშობილი სიძნელეების დაძლევა, ცხოვრების დონის ამაღლება შეიძლება მხოლოდ ღრმა ეკონომიკური რეფორმის, სამეურნეო საქმიანობის ისეთი პირობების დამკვიდრების საშუალებით, რომელთა დროს ადამიანებს აქვთ რეალური შესაძლებლობა გამოიყენონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვანი წილი და წარმართონ საკუთარი თავის სასარგებლოდ თავიანთი შრომის შედეგები. ამასთან დაკავშირებით პრინციპული

(გაგრძელება მე-2 გვ.).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1989 წლის 9 დეკემბრის დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის საკითხზე

1. გაზიარებულ იქნეს შეფასებები და დასკვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მოწყობის საკითხებზე.

2. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მხარს უჭერს ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებებს, ეკონომიკის რეფორმის ეტაპებისა და მეცამეტე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისადმი პრინციპული მიდგომების შესახებ სსრ კავშირის მთავრობის წინადადებებს, რომლებიც შეტანილ უნდა იქნეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის განსახილველად.

3. მიღებულ იქნეს წინადადება, რომ 1990 წლის იანვარში გაიმართოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი სკკპ XXVIII ყრილობისათვის მზადების საკითხებზე.

დაევალოს ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს განსაზღვროს პლენუმის მონაწილეთა შემადგენლობა და მოამზადოს საჭირო მასალები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1989 წლის 9 დეკემბრის დადგენილება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შექმნის შესახებ

1. ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის მიერ დამტკიცებული „თანამედროვე პირობებში პარტიის ეროვნული პოლიტიკის შესახებ" სკკპ პლატფორმის შესაბამისად შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო შემდეგი შემადგენლობით:

მ. ს. გორბაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბიუროს თავმჯდომარე

ბ. ბ. გიდასპოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივანი, ბიუროს წევრი

ვ. ი. ვოროტნიკოვი — რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, ბიუროს წევრი

ა. ვ. ვლასოვი — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბიუროს წევრი

ბ. მ. ვოლოდინი — სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბიუროს წევრი

ვ. ა. კოპტიუგი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე, ბიუროს წევრი

ა. მ. კოროლიოვი — საწარმოო გაერთიანება „ურალმაშზავოდის" ურალის ს. ორჯონიკიძის სახელობის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის ხარატთა ბრიგადირი, ქ. სვერდლოვსკი, ბიუროს წევრი

ვ. ა. კუპცოვი — სკკპ ვოლოგდის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბიუროს წევრი

ი. ა. მანაენკოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბიუროს წევრი

ვ. ნ. პლეტნიოვა — კოსტრომის ვ. ი. ლენინის სახელობის სელის კომბინატის მქსოველი, ბიუროს წევრი

ი. ა. პროკოფიევი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბიუროს წევრი.

გ. ი. უსმანოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბიუროს წევრი

ლ. ვ. შარინი — სკკპ ამურის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბიუროს წევრი

ო. ს. შენინი — სკკპ კრასნოიარსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბიუროს წევრი

ვ. ვ. ჩიკინი — გაზეთ „სოვეტსკაია როსიის" მთავარი რედაქტორი, ბიუროს წევრი

გ. მ. ხოდირევი — სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ბიუროს წევრი

2. დაევალოს ბიუროს კოორდინაცია გაუწიოს რუსეთის სფსრ საოლქო და სამხარეო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობას სკკპ პოლიტიკის რეალიზაციისათვის, განახორციელოს კონტროლი პარტიის ყრილობებისა და კონფერენციების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და პოლიტბიუროს გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი.

თავის სხდომებს ბიურო აწყობს საჭიროების კვალობაზე, მაგრამ სულ ცოტა თვეში ერთხელ. იღებს დადგენილებებს, რომლებიც სავალდებულოა რუსეთის სფსრ პარტიული ორგანიზაციების მიერ შესრულებისათვის.

პრაქტიკულ საქმიანობაში ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო იყენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის არსებულ აპარატს.

სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენლების კრება

11 დეკემბერს კრემლში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ჯგუფების წარმომადგენლების კრება. კრებაზე განიხილეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის მოწყობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

(საქდისი).

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

(გაგრძელება)

მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მკაცრი ცენტრალიზებული დაგეგმვის სისტემიდან გადავიდეთ თვითმმართველობის საწარმოებთან, კოოპერაციულ და სხვა სამეურნეო ასოციაციებთან ცენტრალური უწყებების ურთიერთობის რეგულირების მოქნილ სისტემაზე — ძირითადად ეკონომიკური, და არა ადმინისტრაციული მეთოდებით.

და კიდევ ერთი რამ მინდოდა მეთქვა. მეტისმეტად გვაშინებენ მარცხნიდანაც, მარჯვნიდანაც მოახლოებული კატასტროფითა და საყოველთაო კრახით. მარტო ჩვენ, ქვეყნის ხელმძღვანელობას რომ გვაშინებდნენ, კიდევ რა უშავს. მაგრამ ცდილობენ ასეთი შეხედულებანი თავს მოახვიონ ადამიანებს, რომლებსაც ხშირად არ შეუძლიათ შეაფასონ ესა თუ ის მოსაზრებანი, არა აქვთ საჭირო ინფორმაცია. ამის მიღმა აშკარად პოლიტიკური ზრახვები იმალება. პარტიულმა ორგანოებმა ადამიანები უნდა შეაიარაღონ საიმედო, სწორი პოლიტიკური ორიენტირებით. იმოქმედონ ისეთნაირად, რომ მხარი დაუჭირონ შემოქმედებითს ძიებასა და პრაქტიკულ საქმეებს, დაიცვან ადამიანები, რომლებიც რისკს სწევენ, შეუქმნან ხელსაყრელი მორალური ატმოსფერო იმათ, ვინც ნამდვილად მთელი არსებით ემსახურება გარდაქმნას.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაში არსებული ყველა რთული პრობლემის მიუხედავად, უნდა ვხედავდეთ, რომ ქვეყანას აქვს უზარმაზარი პოტენციალი — უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები, მძლავრი საწარმოო ბაზა, უდიდესი შესაძლებლობანი მეცნიერებაში. და რაც მთავარია — ჰყავს განათლებული ხალხი, რომელმაც იცის დიდი უკუგებით შრომა. ახლა მთავარია, ავამოქმედოთ ყველა ეს ფაქტორი, რაც სწორედ იმ ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების აზრს შეადგენს, რომლებსაც ჩვენ ვახორციელებთ.

დღეს, უზენაესი საბჭოს მიერ გაწეული საკანონმდებლო მუშაობის შედეგად, დაისახა ცვლილებათა ტემპის დაჩქარების შესაძლებლობანი. და ჩვენ უნდა გავზარდოთ შეტევა გარდაქმნის მთავარი მიმართულებებით, რომელთა გარშემო ერთიანდებიან მშრომელთა ძირითადი მასა, საზოგადოების მთელი ჯანსაღი ძალები.

და, რა თქმა უნდა, ახლა, როცა მიმდინარეობს მეურნეობრიობის მეთოდების ცვლა, ყველაზე დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ საზოგადოებრივი წესრიგისა და დისციპლინის განმტკიცებას. ხელი შევუწყოთ სამეურნეო ურთიერთობის ახალი კულტურის ფორმირებას, როცა საქმე კეთდება არა მარტო კანონებისა და მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, არამედ უბრალოდ ადამიანური კეთილსინდისიერების, მიცემული სიტყვის გაუტეხაობის წყალობითაც.

ჩვენ მოვალენი ვართ სრულიად გარკვევით ვთქვათ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ის, რომ მრავალი სახელმწიფო, სამეურნეო ორგანო და ორგანიზაცია კვლავინდებურად გარდაქმნის მოთხოვნებით როდი მოქმედებს, მათს მუშაობაში არა მარტო შენარჩუნებულია უწყებრიობა, უყაირათობა, უპასუხისმგებლობა — მმართველობის წარსული სისტემის ეს ჯერჯერობით დაუძლეველი ორგანული მანკიერებანი. უარესია ის, რომ თავიანთი საქმიანობით ისინი არცთუ იშვიათად შობენ სოციალური დაძაბულობის წყაროებს, ჯერ კიდევ მეტისმეტად ხშირად ვერ ხედავენ და ყურად არ იღებენ ადამიანთა მოთხოვნებს, შეხედულებებს, საჭიროებებს.

უნდა ვთქვა, რომ გუშინ და დღეს ჩვენ განვიხილეთ საკითხი, რომელიც უშუალოდ ეხება ამ თემას. ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საჭიროა სასწრაფოდ განვახორციელოთ ღონისძიებანი, რათა დავიცვათ მომარაგების გარკვეული დონე, მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, რომლებსაც ხშირად აკლებენ მიწოდებას აგრარული სექტორებიდან. დისციპლინის ამგვარ დარღვევას, ხელშეკრულებების შესრულებისადმი ასეთ დამოკიდებულებას შეიძლება მოჰყვეს ის, რომ ხვალ „იმ მხრიდან" გადაკეტავენ გაზს, ნავთობს, ან დაიწყებენ ელექტროსადგურების გამორთვას. მაშინ რაღა ვქნათ? მგონი, ამხ. იარინი ამბობდა გუშინ, სვერდლოვსკში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ მხოლოდ ბავშვებს შეუძლიათ მისცენ ხორცის პროდუქტები. არადა, ხომ არიან რეალური მიმწოდებლები! სხვათა შორის, რუსეთის ფედერაციის საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებთან ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირის შემდეგ ამხანაგები დაგვპირდნენ, რომ გადაწყვეტენ ამ საკითხებს.

ამგვარი მოვლენების შემწყნარებლობისაგან პარტიის ავტორიტეტი მხოლოდ ილახება, ზარალობს გარდაქმნის მთელი საქმე. უნდა ვიმოქმედოთ აქტიურად, მოვითხოვოთ პარტიული კომიტეტების პირველადი ორგანიზაციების მეშვეობით და ყველა საფეხურის საბჭოების კომუნისტების მეშვეობით.

ამხანაგებო! უზენაესმა საბჭომ ყრილობას რეკომენდაცია მისცა განიხილოს აგრეთვე კონსტიტუციურ-სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხების ჯგუფი. მათ შორის უწინარეს ყოვლისა უნდა დავასახელოთ კონსტიტუციის ცვლილებები და დამატებანი რესპუბლიკებში და ადგილებზე ხელისუფლების ორგანოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. მათი მიღება ნიშნავს პოლიტიკური რეფორმის მეორე ეტაპის ამოცანათა გადაწყვეტას, შექმნის საბჭოების სრულხელისუფლებიანობის განმტკიცების, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციების მკვეთრი გამიჯვნის წანამძღვრებს.

ფართო და გაცხოველებული დისკუსიის შედეგად, რომელმაც ამ ბოლო დრომდე მოატანა, ყველა რესპუბლიკამ განსაზღვრა თავისი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წყობა და მათი ფორმირების წესი. საერთოდ, როგორც მოსალოდნელი იყო, დისკუსია საზოგადოებაში ამ საკითხებზე გამოირჩეოდა მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტიურობით. მისი მსვლელობის დროს შეიტანეს მრავალი წინადადება, რომლებიც შემდგომ განხილვას იმსახურებს.

იმ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც ყრილობაზე უნდა განვიხილოთ, განეკუთვნება სსრ კავშირში კონსტიტუციური ზედამხედველობის კანონის პროექტი. უნდა ითქვას, რომ ჩვენს საზოგადოებაში ვლინდება დიდი ინტერესი ამისადმი. და ეს სავსებით საფუძვლიანია, საქმე ეხება ახალ ორგანოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ძირითადი კანონის ზუსტი შესრულება, თვალყური ადევნოს კონსტიტუციური ნორმების დაცვას, მათ შორის კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური ფორმირებების კომპეტენციების გამიჯვნის საკითხებს.

დემოკრატიულ სამართლებრივ სახელმწიფოში, რომლისკენაც მივდივართ, ასეთ ინსტიტუტს ჩვენთვის საარსებო მნიშვნელობა აქვს. მისი დანიშნულების გათვალისწინებით ყრილობაზე უნდა მივიღოთ პასუხისმგებლური გადაწყვეტილება სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შემადგენლობის ჩამოყალიბების შესახებ. რაც შეეხება მის თავმჯდომარეს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ პოსტზე რეკომენდაცია მივცეთ სერგი სერგის ძე ალექსეევს. იგი სათავეში უდგას სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტს. ვფიქრობ, არ ვუღალატებ ჭეშმარიტებას, თუ ვიტყვი, რომ დეპუტატთა კორპუსში და საზოგადოებაში ამხ. ალექსეევს მხარს უჭერენ და დამსახურებული ავტორიტეტი აქვს მოპოვებული გაწეული მუშაობის, შემოქმედებითი, მკაფიო და კონსტრუქციული პოზიციების შედეგად.

სახალხო დეპუტატთა განსახილველად გამოგვაქვს აგრეთვე ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს რეგლამენტის, იმ კანონების პროექტები, რომლებიც განსაზღვრავს დეპუტატთა სტატუსს და საქმიანობის სხვა საკითხებს. ეს დოკუმენტები ხალხის რჩეულთ დაეხმარება უფრო ნაყოფიერად წარმართონ თავიანთი მრავალფეროვანი მუშაობა, განამტკიცონ კავშირურთიერთობა ამომრჩევლებთან, შრომითს კოლექტივებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხებზე სერიოზული, მწვავე დისკუსია მიმდინარეობდა და, როგორც ჩანს, იგი გაგრძელდება ყრილობაზე.

სრულიად საფუძვლიანად არის შემოთავაზებული შევიტანოთ ყრილობის დღის წესრიგში ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების საკითხი. ჩვენი ადამიანები სერიოზულად არიან შეშფოთებული სამართალდარღვევების ზრდით. დამნაშავეები თავხედურად და აგრესიულად მოქმედებენ. გაჩნდნენ ექსტრემისტული დაჯგუფებები; დანაშაულებრივი სამყარო, არსებითად, ბრძოლას უცხადებს ჩვენი საზოგადოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ზნეობრივ საფუძვლებს, და ჩვენ მოვალენი ვართ დავრაზმოთ საჭირო ძალები და საშუალებანი, რათა აღვკვეთოთ ეს სოციალური ბოროტება. ღონისძიებანი, რომლებიც განხორციელდა უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, ახლა სრულდება, გარკვეული ძვრები ხდება, მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ უკვე ყველაფერი შეიცვალა უკეთესობისაკენ. ჯერჯერობით მდგომარეობა აქ საზოგადოების შეშფოთებას იწვევს.

ყრილობაზე გათვალისწინებულია მოვისმინოთ სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის მიერ შექმნილი კომისიების ინფორმაცია მათთვის მიცემული დავალებების შესრულების შესახებ. ეს არის თბილისში მომხდარ ცნობილ ამბებთან, ამხ. გდლიანის მეთაურობით სსრ კავშირის პროკურატურის საგამოძიებო საქმიანობასთან დაკავშირებით შექმნილი, საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1939 წლის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების კომისიები.

აი, დღის წესრიგის საკითხთა წრე, რომლებიც ყრილობაზე შემოაქვს სსრ კავშირის უზენაეს საბჭოს. როგორც ყველას კარგად გესმით, სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა ჩაივლის რთულ ვითარებაში, უწინარეს ყოვლისა იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება სოციალურ-ეკონომიკურ სფეროს, რაზეც უკვე ვილაპარაკეთ ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის გახსნისას და დღის წესრიგის დამტკიცებისას. ადამიანები, გასაგებია, დიდი ყურადღებით გაადევნებენ თვალს მის მუშაობას, იმ ღონისძიებათა განხილვასა და შემუშავებას, რომლებმაც უნდა მოახდინოს ეკონომიკის სტაბილიზება, უზრუნველყოს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. ამიტომ ძალზე საჭიროა, რომ ყრილობამ თავიდანვე აკეთოს კონსტრუქციული საქმე, არ გადაუხვიოს უნაყოფო დისკუსიის, დროის ფუჭი კარგვის გზაზე. ვფიქრობ, ეს უნდა გავაკეთოთ ყველა სახალხო დეპუტატის საერთო ძალისხმევით.

იმედი გვაქვს, მზადება და ის ფაქტი, რომ დეპუტატებმა დროულად მიიღეს ყველა საჭირო დოკუმენტი დღის წესრიგის გამო, საშუალებას მოგვცემს ყრილობა საქმიანად და სერიოზულად წარვმართოთ. თუმცა არ შეიძლება იმის გამორიცხვაც, რომ იქნება ცდები დეზორგანიზაცია შეიტანონ მის მუშაობაში, იხელმძღვანელონ არა იმ მიზნებით, რომლებზეც ვილაპარაკე, არამედ აჰყვნენ რაღაც პოლიტიკურ ამბიციებს, ანდა უბრალოდ შეეცადონ უფრო ხშირად გამოჩნდნენ ტელევიზორის ეკრანზე, რაც ჩვენში მოდად იქცა და ზოგიერთი ჩვენი დეპუტატის სტილის დამახასიათებელი ნიშანი გახდა.

გავიმეორებ: ჩვენი ხალხი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოსაგან მოითხოვს საქმიან მუშაობას და ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების მიღებას.

და, ბოლოს, ამხანაგებო, თქვენს განსახილველად წარმოდგენილია ამომრჩევლებისადმი სკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პროექტი, რომელიც გათვალისწინებულია გამოქვეყნდეს უახლოეს ხანს. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენს საზოგადოებაში დაიწყო პოლიტიკური რეფორმის ახალი ეტაპი. ქვეყანაში ფართოდ გაჩაღდა საარჩევნო კამპანია და, ბუნებრივია, ამ სიტუაციაში უაღრესად საჭიროა ასეთი დოკუმენტი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მომავალ არჩევნებს ეგებება გარდაქმნის გაღრმავების ზუსტი და მკაფიო პროგრამით, პარტია არც ერთი ნაბიჯით არ აპირებს გადაუხვიოს მისი ინიციატივით დაწყებული რევოლუციური ცვლილებების გზას. როგორც საზოგადოების პოლიტიკური ავანგარდი, იგი მოწოდებულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი საბჭოებში მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, ქალების, ჩვენი ახალგაზრდობის — როგორც კომუნისტების, ისე უპარტიოების — ყველაზე აქტიური წარმომადგენლების დასახელებას.

თავიანთ საარჩევნო პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს ადგილობრივ პირობებს, იღებენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტები, საოლქო კომიტეტები, სამხარეო კომიტეტები. თანამედროვე პირობებში პარტიამ საარჩევნო მუშაობა უნდა გასწიოს პროპაგანდასა და აგიტაციაში ახალი მიდგომებით. უნდა დავეუფლოთ არჩევნებში პოლიტიკური ბრძოლის ნორმალურ პრაქტიკას, მივიჩნიოთ ეს პარტიული მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად. რა თქმა უნდა, ამხანაგებო, პარტიას, კომუნისტებს, არ შეუძლიათ გამოიყენონ მეთოდები, რომლებიც შეუთავსებელია სოციალისტურ ღირებულებებთან, ჩვენს მორალთან და ეთიკასთან, დაემსგავსონ იმათ, ვინც იყენებს ბურჟუაზიული პოლიტიკური ბრძოლის ხერხებს. ეს გამორიცხული უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ უნდა ვიყოთ აქტიურნი, კარგახსნილნი დიალოგისათვის, ვიმოქმედოთ გაბედულად.

და კიდევ ერთი რამ. საარჩევნო კამპანია, რაღა თქმა უნდა, უნდა განვიხილოთ სკპ XXVIII ყრილობის სამზადისთან მჭიდრო კავშირით. იანვარში მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას პოლიტბიურო აპირებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. იმ დროისათვის მომზადებული უნდა იყოს სკპ პოლიტიკური პროექტი პლატფორმისა „გარდაქმნის მიმდინარეობა და პარტიის ამოცანები", რომლის გამოქვეყნება საშუალებას მოგვცემს გავაჩაღოთ, როგორც უკვე ვთქვი, ფართო საყრილობო დისკუსია პარტიასა და საზოგადოებაში. ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ პლენუმს, საპროგრამო დოკუმენტის შემუშავებას, მის განხილვას, რათა შევაკავშიროთ კომუნისტები ერთიან პლატფორმაზე, რომელიც გარდაქმნის პოლიტიკის რეალიზაციის ახლანდელი ეტაპის ამოცანებს შეესაბამება.

ახლა დაწყებულია მუშაობა სკპ ახალი წესდების პროექტზე, კომუნისტთა აზრების გათვალისწინებით ვამუშავებთ წინადადებებს პარტიის XXVIII ყრილობაზე წარსაგზავნი დელეგატების არჩევის წესის შესახებაც.

ვამთავრებ რა ჩემი გამოსვლის ამ ნაწილს, აი რა მინდა გითხრათ. გარდაქმნის ხუთი წლის გამოცდილებამ გვაიძულა გამოვყოთ მთავარი ამოცანები მის ყოველ მორიგ ეტაპზე. ახლა წინა პლანზე გამოდის საზოგადოების მთელი ცხოვრების ნორმალური შრომითი რიტმის უზრუნველყოფა, რწმენისა და სტაბილურობის ატმოსფეროს შექმნა. ჩვენი დემოკრატიული თაოსნობანი ინერგება ცხოვრებაში, ვითარდება და ფართოვდება, ისინი მიზნად ისახავს ადამიანის ყველაზე ფართო უფლებების მტკიცე გარანტიების შექმნას, მშრომელთა ინტერესების დაცვას. ამაში ჩვენ დიდად წავიწიეთ წინ. შეიძლება ითქვას, გარდაქმნის, დემოკრატიზაციის საშუალებით საზოგადოებას მივანიჭეთ ახალი სუნთქვა, ახალი პოლიტიკური დინამიკა. მაგრამ ეს მხოლოდ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების საერთო სურათის ნაწილია. ჩვენს საზოგადოებაში არიან ძალებიც, რომლებიც ისწრაფვიან მიმართონ საჯაროობა და დემოკრატია იმის წინააღმდეგ, რასაც ისინი უნდა ემსახურებოდნენ. თანაც, თავიანთი მიზნების მიღწევას რომ ცდილობენ, ეს ძალები ანგარიშს არ უწევენ არც კანონის მოთხოვნებს, არც მორალს, არც, ასე განსაჯეთ, ელემენტარულ პატიოსნებას.

მთელი პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ადამიანებისათვის რაღაც სუბიექტური, ცალმხრივი შეხედულებების ძალით თავსმოხვევის ცდები დამღუპველია გარდაქმნისათვის. მომწიფებული პრობლემების გადაჭრისადმი ასეთ მიდგომას გადაჭრით უარვყოფთ. ამით უნდა ხელმძღვანელობდეს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ყველა, ვისზეც არის დამოკიდებული კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვა.

ჩვენ არ შეგვიძლია, ამხანაგებო, უგულებელვყოთ მოქალაქეთა იმ მოთხოვნების ნაკადი, რომ უზრუნველვყოთ გარდაქმნის პროცესების აღმშენებლობითი მიმართულება. საბჭოთა ადამიანებს არ სურთ შეურიგდნენ იმას, რომ ცხოვრების ნორმალური რიტმის დარღვევისას ადგილობრივი თუ ცენტრალური ხელისუფალნი არცთუ იშვიათად თავს არ იწუხებენ. და უკვე სრულიად შეუწყნარებელია, როცა ისინი მშვიდად ადევნებენ თვალყურს როგორ მწვავდება სოციალური ვითარება, კუდში მისჩანჩალებენ მოვლენებს. როგორც წესი, ეს იწვევს ვითარებისადმი კონტროლის დაკარგვას. მეტისმეტად გახშირდა ჩვენში შემთხვევები, რომლებიც მოითხოვება დახმარებისა და დაცვისათვის ცენტრალური ხელისუფლებისადმი მიმართვით, ხოლო არცთუ იშვიათად მათ უბიძგებენ რთული სიტუაციებიდან გამოსასვლელად უკიდურესი მეთოდების გამოყენებისათვის. ეს დაუყოვნებლივ უნდა გამოვასწოროთ ჩვენი მუშაობის მეთოდებში. ასეთ ბობოქარ დროში ძალაუფლებითა და პასუხისმგებლობით აღჭურვილთ არ ეპატიებათ ოთახებში შეყუჟვა, სეირის ყურება და უმოქმედობა, საუკეთესო შემთხვევაში ინფორმაციის გაგზავნას და საშველად მოხმობას რომ მიმართავენ ხოლმე.

უნდა ითქვას, რომ სამართალდაცვითი ორგანოებიც ხშირად უკან იხევენ დესტრუქციული ძალების დაწოლის წინაშე, არ მიმართავენ კანონით გათვალისწინებულ საჭირო ღონისძიებებს.

ჩვენ თვითკრიტიკულნი უნდა ვიყოთ. პოლიტბიუროც, კომუნისტებიც მთავრობაში, უზენაეს საბჭოში ყოველთვის როდი მოქმედებენ დროულად და ეფექტიანად, ვითარების მოთხოვნების შესაბამისად. ვეღარ შევურიგდებით იმას, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, როცა უნდა გამოვიჩინოთ მომთხოვნელობა და პრინციპულობა, ჩვენ გაუბედავად ვმოქმედებთ, გვეშინია, ვინმეს არ ვათქმევინოთ, „არათანამედროვენი", არადემოკრატიულნი არიანო. ამით კი სარგებლობენ უპასუხისმგებლო ადამიანები. განა ამას არ მოწმობს იმ სახალხო დეპუტატთა ჯგუფის ცდა, რომელთაგან სამი რეგიონთაშორისი ჯგუფის თანათავმჯდომარეა, მოაწყონ პოლიტიკური გაფიცვა სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის წინ? ვფიქრობ, მათ პასუხი უნდა აგონ ამისათვის უზენაესი საბჭოს წინაშე, ხოლო კომუნისტებმა — პარტიული ორგანიზაციების წინაშე.

დღეს ერთხელ კიდევ მინდა ყურადღება მივაპყრო ხალხის წინაშე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პასუხისმგებლობის მაღალ დონეს. უაღრესად დიდია მათი როლი გარდაქმნის წინსვლაში, მისი მიზნების დაცვაში. ისინი ვერ იქნებიან გულგრილნი პრობლემებისადმი, რომლებითაც ქვეყანა ცხოვრობს ჩვენი ისტორიის გარდამტეხ ეტაპზე. და ამ თვალსაზრისით ჩვენ პოზიტიურად ვაფასებთ წვლილს, რომელიც მათ შეიტანეს და ახლაც შეაქვთ რევოლუციური ცვლილებების განვითარებაში.

შეიძლება გაიგო სიმწვავე, რომლითაც პრესაში შუქდება საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები, დაე, თუნდაც ზოგჯერ საეჭვო მსჯელობებიც იყოს. მაგრამ ზუსტად ასევე ცხადი უნდა იყოს, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ეკუთვნის საზოგადოებას და მათ უნდა დაიცვან პრინციპები, რომლებითაც ეს საზოგადოება ცხოვრობს. ყველაზე მთავარია, გვახსოვდეს, რომ ხალხს სჯერა პრესის, რადიოს, ტელევიზიისა. ამიტომ დაუშვებელია არა მარტო ფაქტების დამახინჯება, საეჭვო ცნობებისა და განცხადებების პუბლიკაცია, არამედ უბრალოდ არაობიექტურობაც. და, რაღა თქმა უნდა, გაბედულად უნდა დავგმოთ ცდები, როცა პრესის ამა თუ იმ ორგანოს იყენებენ ანტისაზოგადოებრივი წამქეზებლური მიზნებით, უშვებენ დამახინჯებულ, მიკერძოებულ მიდგომას ერებსა და ეროვნებებს შორის ურთიერთობის საკითხებისადმი, კადრების საქმიანობისადმი.

საერთოდ უნდა გამოვერიცხოთ ყოველგვარი მონოპოლია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მშვიდად, ობიექტურად, პრინციპულად, ალალმართლად უნდა გააშუქონ ჩვენი ქვეყნის ძალზე რთული, ძნელი გადასვლა განახლებულ საზოგადოებაზე, როცა ჩვენ ვახდენთ ფუნდამენტურ ცვლილებებს. ეს ხომ ქვეყნის ბედი, სოციალიზმის ბედია. ეს ერთხელ კიდევ უნდა ითქვას ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე. ჩემი პოზიცია თქვენ იცით, და ახლა გულახდილად ვამბობ: არ უნდა იყოს ისე, რომ პრესაში არ აისახებოდეს მუშათა კლასის, მშრომელთა საზრუნავი. არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ მისი მეშვეობით ზოგჯერ ჩვენს ცხოვრებაში შემოსვლის ვიზას იღებენ, მეტი რომ არა ვთქვათ რა, საეჭვო მორალური და კულტურული ღირებულებანი.

დარწმუნებული ვარ, რომ ყველა საფეხურის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს — მათს უმრავლესობას კი კომუნისტები შეადგენენ — ეყოფათ პასუხისმგებლობა გარდაქმნის ამ რთულ, კრიზისულ პერიოდში მთელ თავიანთ ძალებს თავი მოუყარონ ადამიანთა დარაზმვისათვის, შემოქმედებითი საქმეებისათვის, ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის ნამდვილი განახლებისათვის. ისინი მოწოდებული არიან გვიჩვენონ როგორც მუშაობის ახალი გამოცდილება, კოლექტივში, რაიონში, ქალაქში, ოლქში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში გარდაქმნის რეალური შედეგები, ისე ყოველივე ის, რაც კვლავ ხელს გვიშლის, ფეხებში გვებლანდება, აფერხებს დაწყებული ცვლილებების ტემპსა და უკუგებას.

განსაკუთრებით დიდია ჩვენი პრესის ახსნა-განმარტებითი მუშაობის როლი. ახლა საზოგადოებაში წარმოიშობა უამრავი ახალი იდეა, გადაწყვეტილება, კანონი, მათ მიღმა კი არის ეკონომიკის, პოლიტიკური პროცესის, ცხოვრების სხვა სფეროების გარდაქმნის პრაქტიკა. ყოველივე ეს მოითხოვს ახსნა-განმარტებასა და გააზრებას — აი რისთვის უნდა იზრუნონ პარტიამაც და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმაც.

ერთი სიტყვით, ჩვენ უნდა ვიყოთ გაბედულნი გარდაქმნის წინსვლაში ყველა მიმართულებით, მისი მიზნებისა და იდეალების დაცვაში, ყოველივე ახლის, საინტერესოს, კონსტრუქციულის მხარდაჭერაში, რაც უკეთესობისაკენ ცვლის ხალხის ცხოვრებას. და ზუსტად ასევე, უნდა ვიყოთ თანამიმდევრულნი და უკომპრომისონი მოშვებულობასთან, უყაირათობასთან, უპასუხისმგებლობასთან ბრძოლაში.

ეს დიდ მოთხოვნებს უყენებს ჩვენი პარტიის ყველა რგოლს. ვფიქრობ, ყველა ამ საკითხზე ჩვენში მწიფდება დიდი სჯა-ბაასი, და ჩვენ ვაპირებთ იგი გავმართოთ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე სკპ XXVIII ყრილობისათვის პოლიტიკური პლატფორმის პროექტის განხილვისას.

ამხანაგებო, გარდაქმნის სტრატეგიული კურსის რეალიზაცია მარტოოდენ რევოლუციურ ზემოქმედებას როდი ახდენს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე, იგი გავლენას ახდენს სხვა სოციალისტურ ქვეყნებზეც, მსოფლიოში სიტუაციის განვითარებაზე. ამავე დროს თვით გარდაქმნა განიცდის გარემოს ზემოქმედებას, მას სჭირდება ხელშემწყობი საერთაშორისო პირობები.

ამის საფუძველზე საჭიროდ მიმაჩნია ცენტრალურ კომიტეტს მოვახსენო უკანასკნელი საერთაშორისო ამბები, რომლებიც უშუალოდ ეხება ჩვენს ინტერესებს.

ეს წელიწადი აღინიშნა დიდი ცვლილებებით აღმოსავლეთ ევროპაში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ იქ პროცესები სწრაფად ვითარდება. თუ ვილაპარაკებთ მიმდინარე ცვლილებების არსზე, მათი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია დემოკრატიზაცია, სოციალიზმის განახლება. საიდუმლო არ არის, რომ ეს პროცესები რთულად მიმდინარეობს. კვლავ დასტურდება ის ჭეშმარიტება, რომელზეც ამ ბოლო წლებში არაერთხელ გვილაპარაკია: იქ, სადაც აგვიანებენ მომწიფებულ ცვლილებებს, ხარვეზები გარდაუვალია.

ის, რაც სოციალისტურ ქვეყნებში ხდება, განვითარების გარკვეული ეტაპის კანონზომიერი შედეგია, რომელმაც ამ ქვეყნების ხალხები მიიყვანა ცვლილებათა აუცილებლობის შეგნებამდე. ეს არის შინაგანი განვითარების შედეგი, თვით ხალხების არჩევანის შედეგი.

სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ღრმა ცვლილებების მთელი სპეციფიკის მიუხედავად, არ შეიძლება უარვყოთ, რომ ისინი მიმდინარეობს იმავე მაგისტრალური მიმართულებით, რომლითაც ჩვენი გარდაქმნა ხორციელდება, თუმცა ამ პროცესებისათვის არავითარ შემთხვევაში არ გვიბიძგებია.

მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებში ჩამოყალიბდა უჩვეულო სიტუაცია. პოლონეთსა და უნგრეთში მოძმე პარტიები აღარ არიან მმართველნი. მნიშვნელოვანწილად დაკარგეს თავიანთი პოზიციები ჩვენმა მეგობრებმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ჩეხოსლოვაკიაში. ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი პოლიტიკური ძალები, მათ შორის ისინიც, ვინც მხარს უჭერს სოციალისტურ იდეას, და ისინიც, ვინც ეძებს საზოგადოების განვითარების სხვა გზებს.

ახალი ვითარება ჩვენი მეგობრებისაგან მოითხოვს გაბედულ, გააზრებულ მოქმედებას საზოგადოებაში თავიანთი გავლენისა და პოზიციების აღდგენის მიზნით, შესაბამისად — ახალი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას. წინა პლანზე გამოვიდა სოციალიზმის, დემოკრატიისა და პროგრესის პოზიციებზე მდგომი მთელი ძალების კონსოლიდაციის ამოცანა.

მეგობრებს ეს ესმით, თავიანთ საქმიანობას აგებენ ვითარების გათვალისწინებით, თუმცა მათ უხდებათ გზადაგზა დაეუფლონ არა დეკლარაციული, არამედ რეალური პლურალიზმის ახალ პირობებში პოლიტიკური მუშაობის გაძღოლის მეცნიერებას.

შექმნილი სიტუაცია ჩვენგანაც მოითხოვს შევიმუშაოთ ზუსტი მიდგომა როგორც იქ მიმდინარე პროცესებისადმი, ისე ახალ პოლიტიკურ ძალებთან, პარტიებთან და ორგანიზაციებთან ჩვენი კონტაქტებისადმი.

ამ პროცესებისადმი ჩვენი პრინციპული მიდგომა შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ. ჩვენ მივესალმებით დადებითს ცვლილებებს და სავსებით ვითვალისწინებთ საშინაო და საერთაშორისო რიგის სირთულეებს, რომლებიც მათ ახლავს.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან — იმათთანაც, ვინც დიდი ხანია ახდენს ცვლილებებს, იმათთანაც, ვინც ეს-ეს არის დაადგა ამ გზას, და იმათთანაც, ვისაც ეს ჯერ არ უქნია, — საბჭოთა კავშირი თავის ურთიერთობას წარმართავს ერთიანი პოზიციებიდან — სუვერენიტეტის, ჩაურევლობის პატივისცემის, არჩევანის თავისუფლების ცნობის პოზიციებიდან. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ თითოეულ ხალხს უფლება აქვს თავისი ბედი გადაწყვიტოს დამოუკიდებლად, მათ შორის აირჩიოს წყობილება, მისი ევოლუციის გზები, ტემპი და მეთოდები.

ევროპის სოციალისტური ქვეყნებისადმი ჩვენი პრინციპული დამოკიდებულება უცვლელია. ისინი არა მარტო ჩვენი მოკავშირეები, არამედ ჩვენი მეგობრები, ჩვენი მეზობლები არიან. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ უზრუნველვყოთ პროგრესი და სტაბილურობა — სტაბილურობა აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის თვით ამ ქვეყნებში, მთელი კონტინენტის სტაბილურობა და ევროპაში ყველა არსებული სახელმწიფოს ომისშემდგომი საზღვრების ურღვეობა. სწორედ ამ მიზნით ეწევა ჩვენი დიპლომატია აქტიურ მუშაობას ევროპის უკლებლივ ყველა ქვეყანასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

რა თქმა უნდა, ჩვენ ვხედავთ, რომ, ჩაურევლობის დეკლარაციის მიუხედავად, დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანას თავი ვერ შეუკავებია ცდუნებისაგან — გავლენა მოახდინოს სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებზე. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რათა არ დავუშვათ გარედან ჩარევა, რათა მოვახდინოთ ასეთი ჩარევის ცდის ნეიტრალიზება, კერძოდ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ.

ჩვენ მტკიცედ ვუსვამთ ხაზს, რომ არავის არ დავაჩაგვრინებთ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ეს ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე და ვარშავის ხელშეკრულების წევრია. უნდა ვიხელმძღვანელოთ ომის შემდეგ ჩამოყალიბებული რეალობებით — ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრების არსებობით, ამის უარყოფა ევროპაში დესტაბილიზაციის საფრთხეს ქმნის.

რა თქმა უნდა, ზემოთქმული როდი ნიშნავს, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობა არ შეიძლება არ შეიცვალოს. მათ შორის მშვიდობიანი თანამშრომლობა შეიძლება და უნდა განვითარდეს კიდეც. რაც შეეხება მომავალს, იგი განისაზღვრება ისტორიის კვალობაზე, საერთო-ევროპული პროცესის განვითარების ფარგლებში.

ჩვენი მხრივ, განვაგრძობთ სამოკავშირეო ურთიერთობის აქტიური შენარჩუნების გეზს. ეს-ეს არის მოსკოვში გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომელზეც ჩვენ დაწვრილებით გავაცანით მათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მოლაპარაკება, საერთაშორისო ვითარების ჩვენეული შეფასებანი.

შეხვედრაზე დადასტურდა საერთო პოზიცია, რომ საჭიროა ვარშავის ხელშეკრულების საქმიანობის შემდგომი სრულყოფა. ასე რომ, ჩვენი კავშირი გადის გამოცდის პერიოდს, იგი ახლდება და ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ყველა მონაწილისათვის. ეს იმიტომ ხდება, რომ შენარჩუნებულია ევროპაში სტაბილურობისა და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ჩვენი ინტერესების ერთიანობა.

ეს საკმაოდ დამაჯერებლად დაადასტურა პოლონეთის ახალი მთავრობის მეთაურის ამასწინანდელმა ვიზიტმა მოსკოვში. მოლაპარაკების დროს პოლონეთის მხარემ გამოხატა არა მარტო დაინტერესება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განვითარებით, არამედ ერთგულებაც თავისი სამოკავშირეო ვალდებულებებისადმი.

რასაკვირველია, დიდად უნდა გავისარჯოთ იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ კოლექტიური ორგანიზაციების ფარგლებში პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმები, გავიყვანოთ იგი თვისებრივად ახალ დონეზე. ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობას, სადაც საჭიროა კარდინალური ცვლილებები თანამშრომლობის მექანიზმში, მისი გადაყვანა ჯანსაღ ეკონომიკურ რელსებზე, ურომლისოდაც წარმოუდგენელია დღევანდელი დღის ერთ-ერთი მთავარი ამოცანის — საერთო-ევროპულ და მსოფლიო სტრუქტურებში ჩვენი ქვეყნების ეკონომიკების თანდათანობითი ინტეგრირების — გადაწყვეტა.

რამდენიმე სიტყვა კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებთან ამ ბოლო დროის ძირითად კონტაქტებზე.

აქ აშკარად გამოირჩევიან დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები. დიდი ბრიტანეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, საფრანგეთის, სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებთან შეხვედრები არა მარტო უფრო სისტემატური გახდა, არამედ მნიშვნელოვნადაც იმატა მათმა პოლიტიკურმა შედეგიანობამ.

თითქოსდა, ვთქვათ, ძნელი იყო ფინეთთან ტრადიციული მეგობრული ურთიერთობისაგან დამატებითი უკუგების იმედი გვქონოდა, მაგრამ ფინეთში ვიზიტმა, პრეზიდენტ მ. კოივისტოსთან მოლაპარაკებამ საშუალება მოგვცა რეალურად აგვემაღლებინა პოლიტიკური ნდობის დონე, გაგვეფართოებინა ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფინეთის მეზობელი ჩვენი რეგიონებისათვის — კარელიის, ბალტიისპირეთის, მთლიანად ჩრდილოეთისათვის.

სოლიდური აღმოჩნდა იტალიის სახელმწიფო ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკების ბაგაჟი — ეს ქვეყანა წარსულშიც არაერთხელ ყოფილა პიონერი ჩვენთან თანამშრომლობის ახალი ფორმების ძიებაში. ამჯერადაც ხელმოწერილმა შეთანხმებებმა და კონტრაქტებმა — მათ შორის ვახსენებ მორიგებას ფიატთან ახალი საავტომობილო ქარხნის მშენებლობის შესახებ — დადებითი შედეგები უნდა მოგვცეს საბჭოთა სახალხო მეურნეობისათვის, ბაზრის უხვად მომარაგებისათვის.

ფინელებთან და იტალიელებთან მიღებული პოლიტიკური დეკლარაციები ახალი სიტყვა გახდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თანამოქმედების ფილოსოფიურ-კონცეპტუალურ დასაბუთებაში.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ვატიკანში რომის პაპთან შეხვედრას. თუ ვატიკანის, საერთო-ევროპული პროცესის სრულუფლებიანი მონაწილის, პოლიტიკა წარიმართება სახელმწიფოთა ურთიერთობის შემდგომი ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის მიმართულებით, ეს ხელს შეუწყობს მსოფლიო პრობლემების გადაჭრასაც. სასარგებლო როლი შეუძლია შეასრულოს მორიგებამ, რათა მეტი ოფიციალურობა მიენიჭოს ჩვენს ურთიერთობას ვატიკანთან.

და, ბოლოს, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სამუშაო შეხვედრა კიევში საფრანგეთის პრეზიდენტთან ფ. მიტერანთან. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს ძალზე აინტერესებდა მალტის შეხვედრის შედეგები. მაგრამ მისი მთავარი საზრუნავი და მასთან გამართული საუბრების ცენტრალური თემა იყო ევროპაში სწრაფად ცვალებადი ვითარება. პრეზიდენტის აზრით, ახლა უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური სიფრთხილე, აწონილ-დაწონილობა, რომ ევროპაში ყველა პროცესის განვითარების საფუძველი იყოს ჰელსინკის პრინციპები, უწინარეს ყოვლისა კი არსებული რეალობების პატივისცემა, ჩამოყალიბებული საზღვრების ხელშეუხებლობა. როგორც ჩანს, მის მიერ გამოთქმული შეხედულებანი ძალზე ახლოს არის ჩვენს შეხედულებებთან. და ჩვენ დავადასტურეთ ეს, აღვნიშნეთ, რომ პრეზიდენტის პოზიციის საფუძველზე ჩვენში იქმნება ახალი ურთიერთგაგება, წარმოიშობა საფუძველი ეფექტიანი თანამოქმედებისათვის.

თუ ვილაპარაკებთ მთლიანად დასავლეთ ევროპასთან ჩვენს ურთიერთობაზე, მიმავალი წლის ამბები საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ სამი მთავარი მომენტი.

პირველი მათგანია ჩვენი ქვეყნის, გარდაქმნისადმი დასავლეთევროპელთა დამოკიდებულების უდავო გარდატეხა. რა თქმა უნდა ევროპაში დღესაც ეჭვობენ, თუ როგორ წარიმართება ჩვენი შინაპოლიტიკური განვითარება. მაგრამ საერთოდ ევროპელებმა შეიგნეს: გარდაქმნა საგრძნობი რეალობაა, რომელიც არა მარტო ცვლის ჩვენს ქვეყანას, არამედ გავლენას ახდენს მთელ დანარჩენ მსოფლიოზეც.

თანდათანობით მტკიცდება აგრეთვე მეორე გარემოების — იმის გაგება, რომ გარდაქმნას ჩვენ ვახორციელებთ საკუთარი, სოციალისტური პრინციპებით. რომ, სრულვყოფთ რა ჩვენს საზოგადოებას, ვმდიდრებთ რა ახალი მეთოდებითა და ფორმებით ჩვენს ეკონომიკურ და სოციალურ ინსტრუმენტარიებს, სულაც არ ვღალატობთ ჩვენს ღირებულებებს, არამედ, პირიქით, ვისწრაფვით გავამდიდროთ ისინი რეალური, ჰუმანისტური და დემოკრატიული შინაარსით.

თავის დროზე, ოქტომბრის შემდეგ, ჩვენი ქვეყანა გადიოდა, როგორც თქვენ გახსოვთ, დიპლომატიური ცნობის ხანას. ახლა ჩვენ გავდივართ გარდაქმნის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტორის, ცნობის ხანას, და ეს ქმნის ახალ ატმოსფეროს მთლიანად დასავლეთთან და უწინარეს ყოვლისა დასავლეთ ევროპასთან ჩვენს ურთიერთობაში.

მეორე დიდმნიშვნელოვანი მომენტი მჭიდროდ უკავშირდება პირველს: დასავლეთ ევროპის ქვეყნები საქმით დაადგნენ ჩვენთან ეკონომიური თანამშრომლობის გააქტიურების კურსს. დასავლეთ ევროპის ბიზნესს ახლა უკვე ესმის, რომ გარდაქმნა ახალ ბაზარს უქმნის; დაიწყო კონკურენცია ამ ბაზარზე ადგილებისათვის. ამის შედეგად იდება არა მარტო მოცულობით დიდი, არამედ მნიშვნელოვანწილად თვისებრივად ახალი, ჩვენს ეკონომიკასთან კოოპერაციისა და, ასე განსაჯეთ, თავისუფალი ინტეგრაციისათვის გათვალისწინებული კონტრაქტები დასავლეთ ევროპის ფირმებთან, რომელთა რიცხვი იზრდება.

და, ბოლოს, დასავლეთ ევროპასთან ჩვენს ურთიერთობაში მესამე დიდმნიშვნელოვანი მომენტი — სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება ჩვენსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის პოზიციათა დაახლოება დიდ საერთაშორისო პრობლემებზე. საქმე ეხება განიარაღების მრავალ ასპექტსაც, უწინარეს ყოვლისა, ვენის მოლაპარაკებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ, და მიდგომებსაც რეგიონული კონფლიქტებისადმი, თვით ევროპის კონტინენტზე წარმოშობილი გლობალური პრობლემების გადაჭრის გზებისადმი.

ყოველივე ეს მთლიანად ნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ჩვენი ურთიერთობა იძენს ახალ ფორმასაც და ახალ შინაარსსაც. იქმნება კავშირურთიერთობის სულ უფრო განვითარებული ინფრასტრუქტურა, რომელსაც უნარი შესწევს გადაიზარდოს თანამშრომლობის თავისებურ საერთო-ევროპულ მექანიზმად. არსებითად, საქმე ეხება ევროპის საერთო სახლის მშენებლობის გზით საგრძნობ წინსვლას.

როგორც კონტინენტის აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში მიმდინარე ცვლილებები, მოვლენათა განვითარების მზარდი რიტმი სულ უფრო ნათლად მოითხოვს საერთო-ევროპული პროცესის ტემპის ზრდასა და შინაარსის გაღრმავებას. ამის საფუძველზე ჩვენ წამოვაყენეთ უკვე 1990 წელს, და არა 1992 წელს, როგორც ეს წინათ იყო ნავარაუდევი, ახალი საერთო-ევროპული შეხვედრის მოწყობის იდეა. ასეთი შეხვედრა შეიძლებოდა გამართულიყო უმაღლეს დონეზე, საფრანგეთმა და იტალიამ მხარი დაუჭირეს ამ ჩვენს ინიციატივას. როგორც ჩანს, მას ინტერესით განიხილავენ საერთო-ევროპული პროცესის სხვა მონაწილენიც. დარწმუნებული ვარ, რომ მისი განხორციელება, „ჰელსინკი II-ის" გამართვა მძლავრ სტიმულს მიანიჭებდა ევროპის საერთო სახლის მშენებლობას მისი ყველა ძირითადი პარამეტრით.

მიუხედავად იმისა, რომ წინ წაიწია ჩვენმა ურთიერთობამ ევროპასთან, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის შემდგომ ნორმალიზაციასა და გაუმჯობესებას მრავალმხრივი, ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობა აქვს. ხომ ფაქტია, რომ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები თანამედროვე მსოფლიოს ორი უდიდესი და ყველაზე მძლავრი სახელმწიფოა. ეს მათ არ ანიჭებს არავითარ განსაკუთრებულ უფლებებს, მაგრამ განსაზღვრავს მათს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

სავსებით ცხადია, აგრეთვე, რომ ახალი აზროვნების პრინციპებით სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ თანამოქმედებას შეუძლია მძლავრი ზემოქმედება მოახდინოს მსოფლიო მოვლენების განვითარებაზე პოზიტიური თვალსაზრისით.

ყოველივე ეს სავსებით გავითვალისწინეთ, როცა მივდიოდით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ბუშის მიერ შემოთავაზებულ სამუშაო შეხვედრაზე მალტაში.

ამხანაგებისათვის ცნობილია ბუშთან ერთობლივი პრესკონფერენციის შინაარსი. ჩვენი მოლაპარაკების შესახებ ძირითადი რამ იქ ითქვა — გასაგებია, განსაკუთრებული დეტალების გარეშე. მიუხედავად ამისა, ალბათ, მაინც ღირს დავაჯამოთ შეხვედრის თავისებური ბალანსი.

ჩვენ, ბუნებრივია, ვესწრაფოდით იმას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან შეხვედრას საგრძნობი, სასარგებლო შედეგები მოეტანა. ჯ. ბუშმა პირველი მომენტებიდანვე ცხადყო, რომ ასეთივე მიზანი ჰქონდა დასახული. მან საუბარი [illegible]-საბჭოთა კავშირთან ორმხრივი ურთიერთობის გაუმჯობესების პრობლემით. ამასთან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მიიღო გადაწყვეტილება უახლოეს დროში საჭირო ღონისძიებანი განახორციელოს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის, ეკონომიკური კავშირურთიერთობის შემაფერხებელი შეზღუდვების მოსახსნელად. ბუში არსებითად აპირებს სსრ კავშირს მიანიჭოს უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი, მისცეს საშუალება ამერიკის შეერთებული შტატების საფინანსო ინსტიტუტებს დააკრედიტონ ექსპორტი, აგრეთვე გამოყონ კრედიტები, დადონ შეთანხმება საბჭოთა კავშირში ამერიკის ინვესტიციების გარანტირების შესახებ. ეს და ამერიკის ადმინისტრაციის ზოგიერთი სხვა ღონისძიება შეერთებული შტატების საქმიან წრეებს იმის ნიშანს აძლევს, რომ უფრო თამამად გავიდნენ საბჭოთა კავშირის ბაზარზე. ეს შეესაბამება მათს განწყობილებას.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ამერიკის ხელმძღვანელობა ცვლის თავის მიდგომას საერთაშორისო ეკონომიკურ და ფინანსურ ორგანიზაციებში საბჭოთა კავშირის მონაწილეობისადმი. საერთოდ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონმა გადაწყვიტა შეწყვიტოს „ეკონომიკური ომი" ჩვენს წინააღმდეგ.

თუ მთლიანად დავახასიათებთ ჩვენს მიერ სამხედრო-პოლიტიკური საკითხების საკმაოდ ინტენსიური განხილვის შედეგებს, საკმარისი რწმენით შეიძლება ითქვას, რომ 1990 წელს გადაწყდება ამ დარგში მორიგებათა მიღწევის თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული პერიოდის ბედი. კონკრეტულად, მე და პრეზიდენტი შევთანხმდით, რომ მომავალ წელს დავდებთ:

— საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების 50 პროცენტით შემცირების შესახებ;

— მრავალმხრივ შეთანხმებას ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების შემცირების შესახებ, რომელსაც, როგორც ჩვენ შევთანხმდით, ხელი უნდა მოვაწეროთ უმაღლეს დონეზე;

— საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივ შეთანხმებას ქიმიური იარაღის არსენალების რადიკალური შემცირების შესახებ, რაც ქიმიური იარაღის სრული აკრძალვისა და მისი მარაგის ლიკვიდაციისათვის გამიზნულ ღონისძიებათა ნაწილი იქნება;

1974 და 1976 წლების ხელშეკრულებათა ოქმებს სამშვიდობო მიზნებით ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდისა და ბირთვული აფეთქების შეზღუდვის შესახებ.

გარდა ამისა 1990 წელს, როგორც ვიმედოვნებთ, დაიწყება მოლაპარაკება შეიარაღების შეზღუდვის ახალი სფეროების, უშიშროებისა და სტაბილურობის განმტკიცების შესახებ. ბუშთან ერთად დავთქვით, რომ ორივე მხარე აქტიურ მონაწილეობას მიიღებს „გახსნილი ცის", აგრეთვე ჩვენს მიერ წამოყენებული უფრო ფართო კარგახსნილობის კონცეფციის შესახებ მრავალმხრივ მოლაპარაკებაში, რომელიც მოიცავს არა მარტო ცას, არამედ აგრეთვე ხმელეთს, ზღვას, ოკეანეს და კოსმოსს.

ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება, დაუყოვნებლივ შევუდგეთ მოლაპარაკებას სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალებთან დაკავშირებით, აგრეთვე სამხედრო-საზღვაო ძალების ტაქტიკური ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის შესახებ. ამ საკითხს საბჭოთა კავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან სხვადასხვა დარგში შეიარაღების შემცირების საქმეში პროგრესის პირობებში ვერ შევურიგდებით იმას, რომ ჩვენს უშიშროებას, ჩვენი მოკავშირეების უშიშროებას ზღვებიდან და ოკეანეებიდან საფრთხე ემუქრებოდეს.

მე უკვე საჯაროდ გამოვთქვი ამ ევროპის თემატიკის შესახებ გამართული მოლაპარაკების ჩემეული შეფასება. მინდა მხოლოდ ხაზგასმით აღვნიშნო ის ამბავი, რომ მე და ბუშმა მივაღწიეთ დამაიმედებელ ურთიერთგაგებას იმის თაობაზე, რომ საჭიროა აწონილ-დაწონილი, ფრთხილი გეზის გატარება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე სიღრმისეული პროცესების პირობებში. ეს ეხება გერმანიის პრობლემატიკასაც. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ყველა ეს პრობლემა გვესახება უწინარეს ყოვლისა საერთო-ევროპული პროცესის კონტექსტით.

რეგიონული კონფლიქტების შესახებ სჯა-ბაასი შეეხო ავღანეთს, ცენტრალურ ამერიკას, ახლო აღმოსავლეთს, ლიბანს და ზოგიერთ სხვა პრობლემას. განზოგადებულად მინდა აღვნიშნო, რომ ამჯერად ამ მწვავე თემატიკაზე საუბარი უფრო საქმიანი და საგნობრივი თვალსაზრისით მიმდინარეობდა. ორივე მხარე მზად იყო გაეთვალისწინებინა ერთმანეთის ინტერესები. ორივე მხარემ გამოიჩინა დიდი უნარი აღექვა მოპირისპირე მხარის არგუმენტაცია. ერთი სიტყვით, ამ მხრივ მოლაპარაკება გამოირჩეოდა პარტნიორის შეფასებების, ინფორმაციისა და პოზიციების მიმართ შესამჩნევი მიუკერძოებლობით.

რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობა, თანაც საკმაოდ მნიშვნელოვანი, რჩება, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გაჩნდა მეორე, უფრო საქმიანი და გონივრული მიდგომა. შესაბამისად, მშვიდობიანი მოწესრიგების პერსპექტივები ახლა უფრო ოპტიმისტურად განგვაწყობს.

საერთოდ პრეზიდენტ ბუშთან ფრიად მნიშვნელოვანი საუბარი მქონდა. ჩვენ მას საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ახალი ეტაპის დასაწყისად მივიჩნევთ. ვიმეორებ, დიდი, მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება.

(დასასრული მე-3 გვ.).

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

განხორციელდა გადასვლა კონფრონტაციიდან მეტ ურთიერთგაგებაზე. ახლა უფრო მაღალი ხარისხის ურთიერთგაგებასა და ურთიერთმოქმედებაზეც კი გადავდივართ. და თუ ამერიკის ხელმძღვანელობა კვლავ იმოქმედებს დიდი პასუხისმგებლობის პოზიციიდან, ჩვენ შევძლებთ გადავიდეთ საქმიან პარტნიორობაზე.

ახლა, ბოლო შენიშვნა. კონკრეტულად რა მოგვცა საგარეო-პოლიტიკურ სფეროში გაწეულმა მუშაობამ მშვიდობის საქმისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის, გარდაქმნისათვის?

უწინარეს ყოვლისა, მან კიდევ უფრო შორს გადაწია ომის საფრთხე, უზრუნველყო საერთაშორისო უშიშროების საფუძვლების განმტკიცება. და რადგან ასეა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი მშენებლობის ხელსაყრელი გარეშე პირობების შენარჩუნებისა და განმტკიცების იმედი სულ უფრო ხელშესახები ხდება.

ეს საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ სამხედრო ხარჯების, შეიარაღებული ძალების რაოდენობის დასახული შემცირება, განვავითაროთ სამხედრო წარმოების კონვერსია. როცა ყოველივე ამას ვაკეთებთ, რა თქმა უნდა, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ დასავლეთის გავლენიან წრეებს ჯერაც არ აუღიათ ხელი ძალის პოზიციის პოლიტიკაზე, ჯერ კიდევ ცდილობენ მოიპოვონ ცალმხრივი უპირატესობა. დღევანდელ პირობებში, ისევე როგორც მომავალში, გონივრული საკმარისობა გულისხმობს ჩვენი სამშობლოს კანონიერი ინტერესების დაცვის უთუო უზრუნველყოფას, სწორედ ამით ვხელმძღვანელობთ ჩვენ.

მოგეხსენებათ, რასთან დაკავშირებით ვამბობ ამას. ერთი მხრივ, ჩვენ გვსურს განიარაღების პროცესების შედეგად შევანელოთ გამალებული შეიარაღება, რომელშიც ჩაბმული აღმოვჩნდით ამერიკასა და სხვა ქვეყნებთან ერთად. მიმდინარე ხუთწლედისთვისაც კი დასახული გვქონდა, — არ ვიცი, ვთქვი ეს თუ არა, ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, — ეროვნული შემოსავლის მატება 22 პროცენტის ფარგლებში, ხოლო სამხედრო საჭიროებისათვის განკუთვნილი ხარჯებისა — 40 და მეტი პროცენტის ფარგლებში.

მაშასადამე, შემოსავლის მატებაც კი მნიშვნელოვანწილად უნდა შთანთქას გამალებულმა შეიარაღებამ. ჩვენ ვხედავთ, რა დაღი დაასვა ამან ეკონომიკის განვითარებას, როგორ ნახდინა მისი დეფორმაცია. ამ უკიდურესობებისაგან უნდა განვთავისუფლდეთ. მაგრამ არ შეიძლება სადისკუსიო გახადო ქვეყნის საიმედო უშიშროება. ჩვენ უნდა გვყავდეს თანამედროვე, უახლესი იარაღით აღჭურვილი არმია, რომელიც შეძლებს ამ უშიშროების უზრუნველყოფას.

როცა განიარაღების პროცესმა იწყო განვითარება, წამოვიდა ასე ვთქვათ, თავზეხელაღებული წინადადებანი, კერძოდ, ისიც კი ითქვა, რომ მოხდეს არმიის, მთელი თავდაცვითი სექტორის ლიკვიდაცია. ეს არასერიოზული მიდგომაა, და შეიძლებოდა ამაზე არ მოგვეხდინა რეაგირება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ცდილობენ ასეთი შეხედულება თავს მოახვიონ საზოგადოებრივ აზრს, წარმოშვან, ასე ვთქვათ, რაღაც უკმაყოფილება არმიის, იმ ჩვენი ადამიანების მიმართ, ვინც უზრუნველყოფს თავდაცვას. ვფიქრობ, ეს უკიდურესობანი უნდა მოვსპოთ და უშიშროების საკითხებისთვის ჩვენი მუშაობა წარვმართოთ ნორმალური და ბუნებრივი კალაპოტით. როცა ქვეყნის დაცულობის გარანტიას უზრუნველვყოფთ, არანაირ უკიდურესობაში არ უნდა გადავვარდეთ.

დასავლეთთან ურთიერთობის ნორმალიზაცია და გაუმჯობესება საშუალებას გვაძლევს გავაფართოოთ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ეკონომიკური თანამშრომლობის მასშტაბი და გავაღრმაოთ მისი შინაარსი. ჩვენ უფრო ფართოდ ვამყარებთ ახალი ფორმის ურთიერთობას, და როგორც უკვე ვთქვი, ვაბამთ მასში კოოპერაციის მექანიზმებს, ხოლო მთელ რიგ შემთხვევაში, ვუახლოვდებით ინტეგრაციული ხასიათის კავშირ-ურთიერთობას. ეს, უდავოდ მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს შესაძლებლობებს. მაგრამ რა თქმა უნდა, მთლიანად უნდა გავუწიოთ ანგარიში იმას, რომ მათ გამოყენებას შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფრო ენერგიული ვიქნებით, გავზრდით პასუხისმგებლობას და გერგილიანობას, ავითვისებთ თანამშრომლობის ახალ ფორმებს. უმაღლესი დონის ბოლო შეხვედრების დროს, კერძოდ, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, ფინეთში, იტალიაში ჩვენ მოვრიგდით, რომ დავდებთ ახალ შეთანხმებებს, ხელს მოვაწერთ კონტრაქტებს და ამავე დროს შევქმნით მათი შესრულებისადმი კონტროლის საიმედო მექანიზმებს. ამ მექანიზმებმა ჩვენი მხრივაც უზადოდ უნდა იმუშაოს.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენმა ინიციატივებმა დაუბრუნა სსრ კავშირს, მის საგარეო პოლიტიკას მთელი პლანეტის აღიარება, რაც მშვიდობის, უშიშროებისა და ხალხთა თავისუფლების ფაქტორია. არსებული პრობლემებისადმი რეალისტური მიდგომა, მსოფლიო გაერთიანების ყველა წევრის ინტერესების გათვალისწინება ამ ინიციატივებს დიდ ეფექტს ანიჭებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს გარდაქმნის განხორციელებას, ქმნის მისი წინსვლისათვის საჭირო საერთაშორისო ფონს.

დასასრულ, ამხანაგებო, აი რა მინდა მოგახსენოთ. ახლა მსოფლიოს ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყნის სოციალიზმის განვითარებაში უაღრესად პასუხსაგები და რთული პერიოდი დგას. ხდება ფუნდამენტური მნიშვნელობის ცვლილებები, იქმნება ინსტიტუტები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორი იქნება ჩვენი საზოგადოება ათწლეულების შემდეგ. აი, რით განიზომება პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა, რომელიც აგენერირებს პოლიტიკას და აერთიანებს საზოგადოებას, ახდენს მის კონსოლიდაციას ამ დიადი მიზნების მისაღწევად.

ჩვენ გვიჭირს, ჩვენ ვაწყდებით უჩვევ მოვლენებს, სიტუაციებს. მაგრამ, ამხანაგებო, ასეთი გარდატეხები, ასეთი ცვლილებები უმტკივნეულოდ ვერ მოხდება. ეს არის რევოლუციური მოვლენები, და ისინი ხორციელდება რევოლუციური ფორმებით, მათ თან სდევს სტერეოტიპების მსხვრევა, რომლებსაც საზოგადოება მიეჩვია. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, ნამდვილი რევოლუცია — აზროვნებაში.

მე ვთხოვ ცენტრალური კომიტეტის წევრებს, ყველა დონის ხელმძღვანელებს მოვლენების ანალიზისას შეინარჩუნონ „აზრის სიმაღლე“. თუ მიმდინარე მოვლენების, ცალკეული ფაქტების გავლენას ავყევით, — ავწრიალდებით, დავიბნევით — ეს გადაედება მთელ პარტიას, ხალხს. არ შეიძლება ნერვიულობა, რაგინდ გაგვიჭირდეს. ჩვენ არ ვართ დაზღვეული შეცდომებისაგან, ზოგი რამ შეგვეშალა გარდაქმნის წლებშიც. მაგრამ უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ ამ შეცდომებმა იკლოს. ყოველი პრაქტიკული ნაბიჯი უნდა შევუჯეროთ გრძელვადიან ორიენტირებს, რათა გულდაჯერებით ვიაროთ არჩეული გზით.

ვიმედოვნებ, ამ უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპზე ცენტრალურ კომიტეტში ჩვენ ამ მხრივ სრული ურთიერთგაგება გვაქვს. **(ტასი).**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შექმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის 9 დეკემბრის პლენუმზე

ამხანაგებო!

როგორც გახსოვთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმზე ჩვენ დავიწყეთ სჯა-ბაასი, თუ რამდენად მიზანშეწონილია შეიქმნას ცენტრალურ კომიტეტში შესაბამისი სტრუქტურები, რომლებიც კოორდინაციას გაუწევენ პარტიულ მუშაობას რუსეთის ფედერაციაში.

ქვეყანაში, ყველა რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარე მოვლენების მთელი მასშტაბურობის მიუხედავად რუსეთის პრობლემებს სავანძო მნიშვნელობა ენიჭება გარდაქმნის ბედის, ჩვენი მრავალეროვანი კავშირის პროგრესის განმტკიცებისათვის.

ეს პრობლემები ხანგრძლივი დროის განმავლობაში გროვდებოდა, და მათი გადაწყვეტა მოითხოვს ხალხის ერთობლივ ძალისხმევას, რესპუბლიკის კომუნისტების, საბჭოების, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის კოორდინირებულ მოქმედებას.

მოკლედ თუ ვიტყვით, რუსეთის ფედერაცია უდავოდ იმსახურებს სხვაგვარ დამოკიდებულებას და სხვაგვარ ყურადღებას. და, ვფიქრობ, ცენტრალური კომიტეტის წევრები იზიარებენ ამ აზრს. უფრო მეტიც, ზოგმა უკვე გამოთქვა თავისი მოსაზრება ამ საკითხზე.

ყველამ ვიცით, რომ რუსეთის ფედერაცია, — ეს არის ურთულესი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ეროვნული წარმონაქმნი. ფასდაუდებელია როლი, რომელიც რუსმა ხალხმა, რუსეთის ფედერაციის სხვა ხალხებმა შეასრულეს დიდი ოქტომბრით დაწყებულ რევოლუციურ გარდაქმნებში, საბჭოთა კავშირის მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაქცევაში, მრავალი ერისა და ეროვნების ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევაში, დიდი სამამულო ომის ბრძოლის ველზე ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის მონაპოვართა დაცვაში. რესპუბლიკის მშრომელებს თანამედროვე პირობებშიც უდიდესი წვლილი შეაქვთ მთელი ქვეყნის განვითარებაში, გარდაქმნის პროცესების გაჩაღებაში.

ცნობილია რაოდენ უნიკალური ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი აქვს რუსეთის ფედერაციას. მის ტერიტორიაზე ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, — 51,2 პროცენტი. ეროვნულ შემოსავალში რუსეთის ფედერაციის ხვედრითი წილი დაახლოებით 60 პროცენტს შეადგენს. რუსეთში თავმოყრილია სათბობ-ენერგეტიკული, წყლისა და ტყის რესურსების, წიაღისეული მარაგის უპირატესი ნაწილი. რესპუბლიკა აწარმოებს ნავთობისა და მერქნის 92 პროცენტს, სატვირთო ავტომობილების 84 პროცენტს, გაზის 74 პროცენტს, ელექტროენერგიის 62 პროცენტს, ცემენტის, პლასტმასების, სინთეზური ფისების დაახლოებით 60 პროცენტს, თავდაცვითი პროდუქციის ძირითად ნაწილს. რუსეთის ფედერაციის პროდუქციის საექსპორტო ამონაგების ხარჯზე იფარება ქვეყანაში მოხმარებული იმპორტის დიდი ნაწილი.

ჭეშმარიტად სწორი არიან ისინი, ვინც რუსეთის ფედერაციას ჩვენი კავშირის ქედსა და ხერხემალს უწოდებს. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ რუსი ხალხის, რუსეთის ფედერაციის სხვა ხალხების უდიდესი მიღწევები განუყრელად უკავშირდება ყველა ჩვენი რესპუბლიკის, სხვა საბჭოთა ხალხების ძალისხმევას, თანაც, მრავალი წლის ძალისხმევას, დიდ წვლილს.

ბევრი რამ კეთდებოდა რესპუბლიკაში ხალხის შეუპოვარი, თავდადებული შრომის ფასად უკანასკნელ წლებშიც. განხორციელდა ახალი რაიონების ათვისების გრანდიოზული პროგრამები, გაყვანილია ათასობით კილომეტრი სატრანსპორტო მაგისტრალები, აშენდა ახალი ქალაქები, გამოცოცხლდა რუსეთის ყველაზე განაპირა, მიყრუებული მხარეები. მაგრამ ამავე დროს სულ უფრო მეტად იჩინეს თავი პრობლემებმა, რომლებიც გამოიწვია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის პრინციპების დამახინჯებამ, საწარმოო ძალების განლაგების დროს დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა და ხარვეზებმა. მთავარი ის არის, რომ უძრაობის ატმოსფერო არ გვაძლევდა შესაძლებლობას დროულად მოგვეხდინა აუცილებლობით ნაკარნახევი ცვლილებანი, გამოგვეყენებინა არსებული საშუალებანი და გაგვეთვალისწინებინა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნები.

პოლიტიკის, პრაქტიკული საქმიანობის სერიოზულმა დეფორმაციებმა და ხარვეზებმა დიდი ვნება მოუტანეს რუსეთის ფედერაციას, დაღი დაასვეს რუსეთის ცენტრის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, რუსეთის სფსრ სხვა რაიონების, ქალაქებისა და სოფლების განვითარებას. წარმოშვეს არასახარბიელო დემოგრაფიული სიტუაცია, ავისმომასწავებელი ეკოლოგიური ვითარება მთელ რიგ რეგიონებში. არაშავმიწანიადაგიანი ზონის, აგრეთვე სხვა რეგიონების, კერძოდ, ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების განვითარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი აშკარად არ იყო საკმარისი, გარდა ამისა, ისინი სრული მოცულობით არ სრულდებოდა.

არსებითად ფორმალური ხასიათი ჰქონდა თვითმმართველობას ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ოკრუგებში, ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ჩრდილოეთის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხები.

ისევე როგორც ქვეყნის სხვა რაიონებში, რუსეთის ფედერაციაში გაქრა ისტორიისა და კულტურის მრავალი ძეგლი. და თუმცა უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება ჩვენი კულტურული შენაძენის მოფრთხილებისათვის, აქ გასაკეთებელი კიდევ ძალზე ბევრი გვაქვს.

ამ ბოლო დროს ხშირად გვესმის მსჯელობა, თითქოს წარსული დეფორმაციები და ქვეყნის ახლანდელი სიძნელენი უმთავრესად მომდინარეობს რუსეთისაგან, რომელსაც ცენტრთან აიგივებენ. ვთქვათ დაუფარავად: ასეთი მსჯელობა ეწინააღმდეგება ისტორიის სიმართლესაც და უბრალო ადამიანურ ობიექტურობასაც. ჩვენი უბედურება არც რუსების ბრალია, ამხანაგებო, და არც რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენლებისა. ეს არის სტალინის რეჟიმის, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ბრალი, რომელთა უმძიმე სსრ კავშირის ყველა ხალხებმა იწვნიეს და რომლებსაც ჩვენ ახლა დიდი გაჭირვებით ვძლევთ.

არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის ხალხებს მოუხდათ დაეძლიათ მემკვიდრეობით გადმოლოცვილი ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენა, სამოქალაქო ომითა და დიდი სამამულო ომით გამოწვეული უდიდესი დანაკარგები და ნგრევა, გაეღოთ უზარმაზარი ხარჯები ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად.

ცხოვრების რომელი მხარეც უნდა ავიღოთ — ეკონომიკური, სოციალური თუ სულიერი, — ყველაფერი მოწმობს, რომ უაღრესად საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს დამოკიდებულება რუსეთის პრობლემებისადმი. ამ პრობლემების გადაჭრის გზებს, რა თქმა უნდა, შეიძლება მივაგნოთ მხოლოდ გარდაქმნის, ღრმა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ორგანიზაციული ცვლილებების კალაპოტში.

შემოდის მრავალი წინადადება, რომელთა მიზანია განმტკიცდეს რუსეთის სახელმწიფო სუვერენიტეტი. როგორც ცნობილია, უკვე განხორციელდა და კვლავ განხორციელდება ღონისძიებანი ახალი რესპუბლიკური ორგანოების შესაქმნელად. რუსეთის სფსრ უზენაეს საბჭოში პირველად ყალიბდება პალატები — რესპუბლიკის საბჭო და ეროვნებათა საბჭო. რუსეთის ფედერაციის გამგებლობაში გადაიცა საკავშირო სამშენებლო სამინისტროები, შეიქმნა საკავშირო-რესპუბლიკური შინაგან საქმეთა სამინისტრო. მოწონებულია რუსეთის ფედერაციის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა განვითარების მთელი რიგი ღონისძიებანი. შემოღებულ იქნება რუსეთის მუდმივი პროგრამები ცენტრალურ ტელევიზიასა და საკავშირო რადიოში, გამოიცემა ახალი გაზეთები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალები. წამოყენებულია ინიციატივა შეიქმნას რესპუბლიკური პროფკავშირული, კომკავშირული სტრუქტურები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. აქტიურად მიმდინარეობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის შექმნის საკითხის დამუშავება.

როდესაც რუსეთის ფედერაციის პრობლემებს განვიხილავთ, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით პარტიული მშენებლობის საკითხებსაც.

როგორი უნდა იყოს რუსეთის ფედერაციის პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელი ორგანო? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი და მრავალმხრივი საკითხია. იგი სცილდება რუსეთის ფედერაციის ფარგლებს. აქვს საერთო-პარტიული, საერთო-საკავშირო ხასიათი.

დაწყებული განხილვა გვიჩვენებს, რომ აზრთა დიაპაზონი ერთობ ფართოა, იმდენად ფართო, რომ არის ერთმანეთის გამომრიცხავი მოსაზრებებიც: რუსეთის კომპარტიის და შესაბამისად რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის შექმნის მოწოდებებით დაწყებული, და იმ წინადადებებით დამთავრებული, რომ დარჩეს ყველაფერი, როგორც არის. სხვადასხვა თვალსაზრისს გარკვეული ნიადაგი და არგუმენტები აქვს. ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას უაღრესად დიდი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს. გვინდა ჩვენ ეს, თუ არა, მაგრამ ისტორიული როლი, პოლიტიკური გავლენა, ეკონომიკური პოტენციალი, უზარმაზარი ტერიტორია, მრავალეროვანი შემადგენლობა და მთელი რიგი სხვა ფაქტორები განსაზღვრავენ რუსეთის ფედერაციის თავისებურ მდგომარეობას საბჭოთა კავშირში და გამორიცხავენ ყოველგვარ გამარტივებას რუსეთის პრობლემების გადაჭრაში.

ჩვენ არაერთგზის გვიმსჯელია ამ საკითხებზე ცენტრალურ კომიტეტში რესპუბლიკის სამხარეო და საოლქო პარტორგანიზაციების ხელმძღვანელთა მონაწილეობით, და იმ დასკვნამდე მივედით, რომ ამ ეტაპზე მიზანშეწონილია შეიქმნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო.

იმას, რაც რუსეთის სფს რესპუბლიკის დახასიათების თვალსაზრისით ითქვა, მინდა დავძინო, რომ აქ ცხოვრობს და მუშაობს სკკპ წევრთა და წევრობის კანდიდატთა 54,5 პროცენტი. რუსეთში არის სკკპ ყველა პირველადი ორგანიზაციის 46 პროცენტზე მეტი. რესპუბლიკაში მოქმედებს პარტიის პირველადი ორგანიზაციების 52 პროცენტი, რომლებსაც სათავეში უდგანან პარტკომები, და სამი მეოთხედი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რაიკომის უფლების მქონე პარტკომები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთის ფედერაციაში თავმოყრილია ძირითადად ყველაზე მრავალრიცხოვანი სკკპ ორგანიზაციები.

რით უნდა ვიხელმძღვანელოთ უწინარეს ყოვლისა? ვფიქრობ, სწორი იქნება მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც გაითვალისწინებს როგორც რუსეთის ფედერაციის, ისე მთელი კავშირის ინტერესებს. საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური ინტერესების სწორედ ასეთი შეწონასწორებული გათვალისწინებაა ნაგულისხმევი სკკპ ეროვნული პოლიტიკის პლატფორმის დებულებებით.

მასში ნათლად არის გამოხატული პარტიის მისწრაფება იღვაწოს, რათა ჩვენს საზოგადოებაში აღდგეს ეროვნული თვითგამორკვევის ლენინური პრინციპი. ეს გულისხმობს, რომ რეალური შინაარსი მიენიჭოს მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს და განმტკიცდეს მათი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობა.

დასახული კალაპოტით ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს ღონისძიებებს შინაპარტიული ურთიერთობის დემოკრატიზაციისათვის, იმისათვის, რომ ამაღლდეს პირველადი, რაიონული, საოკრუგო, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და, განსაკუთრებით, — რესპუბლიკური პარტორგანიზაციების როლი თავიანთი პრაქტიკული საქმიანობის ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში.

ყოველივე ეს უდავოდ ეხება რუსეთსაც. მისი ეროვნული თვითგამორკვევის პროცესი ასევე გულისხმობს ახალი შინაარსის მინიჭებას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი რესპუბლიკური ორგანიზაციისა და, რა თქმა უნდა, პარტიული ორგანიზაციების საქმიანობისათვის.

საქმე ეხება რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური პოტენციალის სარეალიზაციოდ უფრო ფართო შესაძლებლობათა შექმნას, დემოკრატიული გზის გაღრმავებას პარტიასა და საზოგადოების მთელ პოლიტიკურ სისტემაში.

ამასთანავე, ვწყვეტთ რა რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების პრობლემებს, ჩვენ ვხელმძღვანელობთ ეროვნულ საკითხზე პარტიის პლატფორმის იმ დებულებით, რომ იგი ობიექტურად იყო და არის მთელი ჩვენი კავშირის მაკონსოლიდირებელი საწყისი. და ყველა ნაბიჯი რუსეთის პარტიული ძალების ორგანიზაციის მიმართულებით უნდა მოწმდებოდეს ჩვენი კავშირის განმტკიცებისა და ჩვენი პარტიის ერთიანობის კრიტერიუმის მიხედვით. ჩვენ ნათლად უნდა ვიცოდეთ, თუ რა გავლენას მოახდენს ესა თუ ის გადაწყვეტილება ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ტენდენციებზე, ხომ არ დაარღვევს ორგანულ წონასწორობას მთლიანად კავშირში, ხომ არ დაასხამს ნავთს კოცონზე, რომელსაც დღეს გაფაციცებით აღვივებენ ზოგზოგები.

როდესაც პარტიას გარდავქმნით და ყოვლენაირად ვაფართოებთ რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების უფლებებსა და დამოუკიდებლობას, ჩვენ მოვალენი ვართ ყურადღებით ვადევნოთ თვალი, რომ არ გადავცდეთ მიჯნას, რომლის მიღმაც წარმოიშობოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, როგორც ერთიანი პოლიტიკური ორგანიზაციის, კავშირის უმნიშვნელოვანესი მაინტეგრირებელი ძალის რღვევის საფრთხე.

სამწუხაროდ, პარტიაში ყველას ბოლომდე როდი გაუცნობიერებია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფედერალიზაციის შესაძლო გამანადგურებელი შედეგები. არიან ისეთებიც, ვინც გრძნობს მოახლოებულ საშიშროებას, მაგრამ არ იცის როგორ ებრძოლოს მას, როგორ დაუპირისპირდეს პოლიტიკურ სტიქიას და ამიტომ მიდის იქით, საითაც ეს სტიქია მიაქანებს. ჩვენი პოზიციის არსი ის არის, რომ რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების უფლებებისა და დამოუკიდებლობის გაფართოება ხელს უწყობდეს ადგილობრივი სპეციფიკის ეროვნულ თავისებურებათა უკეთ გათვალისწინებას, ეროვნული და ინტერნაციონალური ღირებულებების შეხამების უნარს, და არა — მათ დაპირისპირებას.

თუ მთელი ჩვენი პოლიტიკური ორგანიზმის ეს სასიცოცხლო ნერვი დაგვიზიანდა, მაშინ ძალზე ბევრ რამეს შეიძლება საფრთხე შეექმნას.

ამასთან დაკავშირებით მინდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ერთხელ კიდევ მივმართო ლიტვის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, სადაც ასეთმა საკითხებმა მწვავე აქტუალობა შეიძინეს. სწორედ ამით არის ნაკარნახევი ჩემი მიმართვა ლიტვის კომუნისტებისადმი. და მე ვთხოვე მათ უაღრესად დიდი ყურადღებით მოეკიდონ ჩვენს შეშფოთებას.

იმედი გვაქვს, რომ რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობა, რომლის გეზსაც თქვენ გაატარებთ უახლოეს დროში, და რომელზეც გაიმართება აქტუალური პრობლემების განხილვა, გახდება სკკპ XXVIII ყრილობისათვის განკუთვნილ წინადადებათა ერთგვარი წინასწარი დამუშავება. ამხანაგო ბრაზაუსკას, ამას გეუბნებით პირდაპირ, პარტიის მთელი ცენტრალური კომიტეტის წინაშე: როგორც ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნუ დააკნინებთ თქვენს პირად როლს ამ საკითხთა სწორ გადაწყვეტაში.

ეტყობა, საჭიროა კონკრეტული ღონისძიებანი რუსეთის პარტიულ ორგანიზაციათა სტატუსის ასამაღლებლად. ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეს გადაწყვეტილებანი ღრმად იყოს გააზრებული და ხორციელდებოდეს გამოცდილების დაგროვების კვალობაზე. ამიტომ ჩვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შექმნის წინადადებას განვიხილავთ როგორც პირველ ნაბიჯს რესპუბლიკის ახალი პარტიული სტრუქტურების ფორმირების გზაზე. თუ როგორ წარიმართება შემდგომი განვითარება, ამას გვიჩვენებს ცხოვრება, პოლიტიკური პრაქტიკა, გამოცდილება.

ჩვენს დღეებში კარდინარულად იცვლება მთელი საზოგადოება, ახლდება პარტიის მუშაობის მეთოდები და ფორმები. შექმნილია პირობები კომუნისტთა აზრის თავისუფალი გამოხატვის, ხელმძღვანელთა ალტერნატიული არჩევნებისათვის, მიმდინარეობს აპარატის გარდაქმნა. პარტიული ცხოვრების ყველა სფერო გახსნილია კრიტიკისათვის. ცენტრში და ადგილებზე მიმდინარეობს იმის დამკვიდრების გზების აქტიური ძიება, რასაც ლენინი „პარტიული მასების ძალაუფლებას“ უწოდებდა.

ახლა რადიკალურად იცვლება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ფუნქციებიც. საქმე ეხება პარტიას როგორც საზოგადოების პოლიტიკურ ავანგარდს, რომელიც უარს ამბობს ხელმძღვანელობის მბრძანებლურ, დირექტიულ მეთოდებზე, არ აპირებს ვინმესათვის რაიმეს თავს მოხვევას, მას უნდა შეეძლოს მკაფიოდ და ზუსტად გამოხატავდეს თავისი პოლიტიკით იმას, რაც შეგნებული აქვს ხალხს, მოქმედებდეს დარწმუნების, იდეური გავლენის მეთოდებით, მონაწილეობდეს კომუნისტთა მეშვეობით საზოგადოების ცხოვრების ყველა პროცესში. ჩვენ ვაახლებთ პარტიას, გარდავქმნით მას ახალი ფუნქციების გათვალისწინებით როგორც საზოგადოების პოლიტიკურ ავანგარდს. მაგრამ ჩვენ ვრჩებით საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. პარტია, რომელიც ხალხს სთავაზობს პოლიტიკას, მოეთათბირება მას, და ამავე დროს დაიცავს თავის პოლიტიკას ყველგან, სადაც კომუნისტები შრომობენ.

დარწმუნებული ვარ, ახალ პირობებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიურო შეუძლია გახდეს და უნდა გახდეს სრულფასოვანი პოლიტიკური ორგანო, რომელსაც შესწევს უნარი დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პრაქტიკული ამოცანები. საამისოდ გარდაქმნამ შექმნა ყველა შესაძლებლობა. რაოდენობრივი თვალსაზრისით ნავარაუდევია ბიურო მცირერიცხოვნად ჩამოყალიბდეს. გაითვალისწინა რა რუსეთის ფედერაციის პარტორგანიზაციის მნიშვნელობა, პოლიტბიუროს თქვენს განსახილველად გამოაქვს წინადადება, რომ ამ ბიუროს სათავეში ედგეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

ბიუროს შემადგენლობაში შეიძლება შევიყვანოთ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, რომლებიც განაგებენ რუსეთის ფედერაციაში პარტიული მუშაობისა და სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებს, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები, აგრეთვე სხვა ამხანაგები. მოდით, მოვითათბიროთ, მოვძებნოთ ოპტიმალური ვარიანტი, რათა აქ არ დომინირებდეს თანამდებობრივი პრინციპი და ამასთანავე გვყავდეს საკმაოდ ავტორიტეტული და მუშაობისუნარიანი პარტიული ორგანო.

ჩვენ ვიმსჯელეთ ბიუროს აპარატზეც და, გავაანალიზეთ რა წარსული გამოცდილება, იმ დასკვნამდე მივედით, ამხანაგებო, რომ არ არის საჭირო შევქმნათ განსაკუთრებული აპარატი, მთავარია რუსეთის ფედერაციაში პარტიული მუშაობის საკითხებზე დავასაქმოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი აპარატის ნაწილი. არსებითად, იგი დღეს სწორედ ამას აკეთებს. საჭიროა მხოლოდ ზუსტად მოვნიშნოთ და განვსაზღვროთ მისი მოვალეობების წრე და პასუხისმგებლობის დონე.

როგორ გვესახება რუსეთის ბიუროს წინაშე მდგომი ყველაზე პრიორიტეტული ამოცანები? უწინარეს ყოვლისა, ეს არის პოლიტიკური ამოცანები. ისინი დაკავშირებულია გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პროცესების განვითარებასთან, რუსეთში საბჭოების ჭეშმარიტი სახალხო ხელისუფლების სისტემის განმტკიცებასთან, რუსეთის ფედერაციის პარტიულ ორგანიზაციათა ავანგარდული როლის ამაღლებასთან. ბიუროს შეუძლია პერიოდულად მოიწვიოს ხოლმე ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებზე სრულიად რუსეთის პარტიული კონფერენციები.

შემდეგ. ბიურო განზე ვერ იდგება რესპუბლიკის მასშტაბით ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისაგან, სამეურნეო ანგარიშსა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის რელსებზე რესპუბლიკის გადაყვანის მომზადებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტისაგან. რაც მთავარია — უნდა განხორციელდეს გადამწყვეტი შემობრუნება მთელ სამეურნეო პოლიტიკაში, რაც გამოიწვევს რესპუბლიკის ეკონომიკის გაჯანსაღებას, გარანტიულად უზრუნველყოფს ადამიანთა საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათი ცხოვრების დონის ამაღლებას, ძირეულად გააუმჯობესებს ეკოლოგიურ ვითარებას.

მაგრამ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს მმართველობის ეფექტიანი სისტემის შექმნა იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი მოიცავს უდიდეს რეგიონებს, ისეთებს, როგორიც არის შორეული აღმოსავლეთი, ციმბირი, ურალი, ვოლგისპირეთი, ცენტრი, ჩრდილოეთ-დასავლეთი, ჩრდილოეთი კავკასია. ეს ქვეყნის უდიდესი რეგიონებია. მათი ეკონომიკური პოტენციალი ხშირად მთელი სახელმწიფოების პოტენციალის ტოლფასია. ხოლო ამ მძლავრი სახალხო-სამეურნეო კომპლექსების მმართველობა გადამეტცენტრალიზებულია, ხორციელდება კვლავინდებურად მოსკოვიდან, რაც, რა თქმა უნდა, ვნებს მათს განვითარებას, და, მაშასადამე, ქვეყნის განვითარებასაც. ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის გადაჭრა, ალბათ, ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა უნდა გახდეს.

სერიოზული სრულყოფა ესაჭიროება რუსეთის ფედერაციაში ეროვნულ-სახელმწიფო მშენებლობასაც. ეს გახლავთ ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, ოკრუგების უფლებათა გაფართოება სახელმწიფო, სამეურნეო, კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში. ეს გახლავთ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა კომპაქტური ბინადრობის ადგილებში ეროვნული რაიონების შექმნის, რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების საკითხები.

ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს ყურადღების ცენტრში უნდა იყოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების განვითარების, რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხთა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და გამრავლების პრობლემები. უნდა გავააქტიუროთ არსებული და ახალი რესპუბლიკური შემოქმედებითი კავშირებისა და გაერთიანებების და რუსეთის სხვა სტრუქტურების საქმიანობა.

რა თქმა უნდა, ამხანაგებო, შეგნებული უნდა გქონდეს, რომ ვერავითარი ორგანიზაციული ღონისძიება, ისეთი მასშტაბურიც კი, როგორიც არის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შექმნა, თავისთავად ვერ გადაგვაწყვეტინებს უმწვავესი ცხოვრებისეული პრობლემების მთელ კომპლექსს. მაგრამ, უეჭველია, რომ დღეს შემოთავაზებული ნაბიჯი ხელს შეუწყობს რუსეთის სფს რესპუბლიკის უფრო დინამიკურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, სამსახურს გაუწევს რუსი ხალხის, რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხის, მთელი ჩვენი კავშირის ინტერესებს.

გთხოვთ, გამოთქვათ აზრი შემოთავაზებულ ღონისძიებებზე, რათა დისკუსიის შემდეგ პლენუმმა შეძლოს მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვლადიმერ ანტონის ძე ივაშკო

დაიბადა 1932 წელს ქალაქ პოლტავაში, უკრაინელია. სკკპ წევრია 1960 წლიდან. არის ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. დაამთავრა ხარკოვის სამთო ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1957 წელს, პედაგოგიურ სამუშაოზე ქალაქ ხარკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, არჩეული იყო ინსტიტუტის პარტკომის მდივნად. 1973 წლიდან იყო პარტიის ხარკოვის საოლქო კომიტეტის განყოფილების გამგე, მდივანი. 1986 წლიდან უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანია. 1987 წლიდან პარტიის დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი. 1988 წლიდან უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი. 1989 წლის სექტემბერში აირჩიეს უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად.

1986-1989 წლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია. 1989 წლის აპრილიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატია. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით.

შეხვედრა ჟურნალისტებთან

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მომავალ II ყრილობასთან განუყრელად დაკავშირებული დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა უწოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის დეკემბრის პლენუმს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ა. მედვედევმა. 9 დეკემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაიმართა მისი პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელზეც მან განმარტა პლენუმზე მიღებული გადაწყვეტილებანი. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა II ყრილობასთან დაკავშირებული საკითხები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს შექმნის შესახებ, გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატობის კანდიდატების დასახელების შესახებ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისაგან სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის არჩევნების დანიშვნის შესახებ. მიღებული იყო აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საბჭოთა ხალხისადმი, კომუნისტებისადმი რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

ვ. ა. მედვედევმა განაცხადა, რომ დღის წესრიგის პირველ პუნქტზე — სახალხო დეპუტატთა II ყრილობის მომზადების საკითხები — გამოვიდა მ. ს. გორბაჩოვი. მან დაახასიათა მომავალი ყრილობა და ის, რაც უნდა განიხილონ ამ ყრილობაზე. მის დღის წესრიგში მთავარია ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებების, ეკონომიკური რეფორმის ეტაპებისა და მეცამეტე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისადმი პრინციპული მიდგომების საკითხი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქმე ეხება იმ უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პრობლემების კომპლექსს, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციას. ამ საკითხზე სსრ კავშირის მთავრობამ მოამზადა მთელი რიგი წინადადებანი, რომლებიც პლენუმის მონაწილეებს თავის ინფორმაციაში გააცნო ნ. ი. რიჟკოვმა. აღინიშნა, რომ მისი განხილვის დროს გამოითქვა მრავალი წინადადება იმის შესახებ, რომ საჭიროა უფრო სწრაფად განხორციელდეს ღონისძიებანი საბჭოთა ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის. ეს ეხება, უწინარეს ყოვლისა, ფასწარმოქმნის რეფორმას, ახალი საგადასახადო სისტემის შემოღებას. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად დაინერგოს ცხოვრებაში ახალი სამეურნეო მექანიზმები.

დახასიათებული იყო აგრეთვე სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე გასატანი სხვა საკითხებიც, გამოიხატა ცენტრალური კომიტეტის პოზიცია მათი განხილვის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა განაცხადა, რომ პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც გამოითქვა თანხმობა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა II ყრილობის მოწყობის საკითხებზე მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში ჩამოყალიბებულ შეფასებებთან და დასკვნებთან და მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის მთავრობის წინადადებას ეკონომიკის გაჯანსაღების ღონისძიებების, ეკონომიკური რეფორმის ეტაპების, მეცამეტე ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისადმი პრინციპული მიდგომების შესახებ, რომლებიც გამოტანილია სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე.

შეეხო რა დადგენილების მესამე პუნქტს, რომელშიც ლაპარაკია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე, გაისად იანვარში რომ უნდა გაიმართოს, ვ. ა. მედვედევმა აღნიშნა, რომ მასში ასახულია მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის საოლქო კომიტეტების პლენუმებზე გამოთქმული წინადადებანი და მოსაზრებანი სკკპ XXVIII ყრილობის მომზადების საკითხთა ფართო საერთო-პარტიული განხილვის საჭიროების შესახებ. მხედველობაში გვაქვს, თქვა მან, იანვარში საერთო-პარტიული განხილვისათვის გამოვაქვეყნოთ პროექტი პლატფორმისა XXVIII ყრილობისათვის და წინასწარ განვიხილოთ იგი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაფართოებული შემადგენლობით.

უპასუხა რა კითხვაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-6 მუხლის შესახებ, ვ. ა. მედვედევმა აღნიშნა, რომ არავითარი ტაბუ არ ედება ამ მუხლს. ქვეყანაში, თქვა მან, მიმდინარეობს პოლიტიკური სისტემის რეფორმის სწრაფი პროცესი, ხდება ცვლილებანი თვით პარტიაში, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური სისტემის ხელმძღვანელი ბირთვიდან იქცევა პოლიტიკურ ავანგარდად. პარტია აპირებს იმოქმედოს სხვა მეთოდებით — შეიმუშაოს პოლიტიკა და შესთავაზოს იგი ხალხს, იბრძოლოს მის მხარდაჭერისათვის, და როცა ამ მხარდაჭერას მიიღებს, ეცადოს ხორცი შეასხას მას. მუხლის ზოგიერთი ფორმულირება უკვე არ შეესაბამება პარტიის როლის ასეთ გაგებას, თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ხაზგასმით აღნიშნა რა მუხლის შეცვლისადმი სერიოზული კონცეპტუალური მიდგომის საჭიროება. მან დაგმო იმისადმი მისწრაფება, რომ გადააქციონ იგი პოლიტიკური სპეკულაციების საგნად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოტანილი პრობლემების განხილვა, თქვა მან, საქმიან, კონსტრუქციულ ვითარებაში მიმდინარეობდა, გამოსვლები კრიტიკული და თვითკრიტიკული ხასიათისა იყო. კერძოდ, დისკუსიების მონაწილეებმა გააანალიზეს პარტიაში შექმნილი მდგომარეობა, გამოთქვეს მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მისამართით, რომელთა არსი ძირითადად ის არის, რომ პარტიის ხელმძღვანელი ორგანო უნდა მოქმედებდეს უფრო გაბედულად, არ უნდა ჩამორჩეს მოვლენათა მსვლელობას, ხელიდან არ უნდა გაუშვას ინიციატივა. ითქვა აგრეთვე ის, რომ ადგილობრივ პარტორგანიზაციებს უფრო ზუსტი პოლიტიკური ორიენტირები სჭირდებათ.

ს. მოზიანოვი,
ტასის კორ.

დავით აღმაშენებლის საზოგადოებაში

იმრავლოს მრმა, იხაროს ჭერმა!

გაიმართა სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საზოგადოების პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელზეც საზოგადოების თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ მიმოიხილა ბოლო სამ თვეში ჩატარებული ღონისძიებანი.

კერძოდ, აღინიშნა, რომ ამ პერიოდში საზოგადოების წინადადებით და თხოვნით საკარმიდამო ნაკვეთები გამოეყოთ კაჭრეთელ ახალგაზრდებს, სულ 120 ოჯახს— 22 ჰექტარის ოდენობით, რისთვისაც აღმაშენებლის საზოგადოების პრეზიდიუმმა დიდი მადლობა მოახსენა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობას.

აღმაშენებლის საზოგადოებას თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დახმარებით კომკავშირის ხეივანში გამოეყო მშვენიერი შენობა, რომლის რემონტიც სულ მალე დაიწყება.

საზოგადოება ამ დღეებში გაანაწილებს ბოლნისში შეძენილ შვიდ ბინას, რომელიც 200 ათასი მანეთი დაჯდა. ოთხი მსურველის განცხადება უკვე შესულია, საზოგადოება ელის სხვა განცხადებებსაც. ამ მამულიშვილურ საქმეში საზოგადოებას დიდი დახმარება გაუწია საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა.

ამბროლაურის რაიონისათვის შეძენილია უცხოური სარეტრანსლაციო ტელეაპარატურა, რომელიც უზრუნველყოფს ტელეგადაცემების მიღებას იმ თვრამეტ სოფელში, რომლებიც დღემდე უტელევიზიოდ იყვნენ დარჩენილნი. ამ აპარატურის შეძენა დაჯდა 18 ათასი მანეთი.

ასევე დაკმაყოფილებულია ახალგაზრდა მეცნიერთა თხოვნა და 10.000 მანეთით დაფინანსდა კომპლექსური მეცნიერული ექსპედიცია ასპინძის ხეობაში.

საზოგადოებამ ხუთი ათასი მანეთი გადაურიცხა თბილისის საჭადრაკო კლუბს ქ. მოსკოვში ჩატარებული ძალზე მნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის.

პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მომავალი წლის ოქტომბერში თბილისის საქალაქო საბჭოსთან ერთად მოიწვიოს თელ-ავივში გამომავალი ქართული ჟურნალის „დროშის" რედაქციის დელეგაცია ამ ჟურნალის ათი წლისთავის აღსანიშნავად. საიუბილეო დღისათვის აღმაშენებლის საზოგადოება გამომცემლობა „მერანთან" ერთად გამოსცემს ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელი პოეტებისა და პროზაიკოსების რჩეულ ნაწერთა კრებულს, რომლის შემდგენელი და რედაქტორია „დროშის" გამომცემელი და რედაქტორი ბატონი ხაიმ ხუბელაშვილი.

საზოგადოებამ გაითვალისწინა სოფელ რუისის მშრომელთა თხოვნა რუის-ურბნისის ცნობილი ისტორიული კრებისადმი მიძღვნილი მემორიალის შექმნის თაობაზე და მიიღებს შესაბამის ზომებს მემორიალის შესაქმნელად, თვითონვე დააფინანსებს მას.

პრეზიდიუმის წევრმა, პოეტმა ამირან კალაძემ წინადადება წამოაყენა ვერის ბაღში, ჭადრაკის სასახლის წინ დაიდგას ქართველ მოჭადრაკე ქალთა ოცდაათწლიანი ჰეგემონიისადმი მიძღვნილი მემორიალი. ამ საკითხს მალე გადაწყვეტს საქალაქო საბჭოს აღმასკომი, ხოლო დავით აღმაშენებლის საზოგადოება უმალვე განახორციელებს საჭირო ღონისძიებებს.

პრეზიდიუმმა მიიღო ცნობა, რომ ხაშურსა და სამტრედიაში შეიქმნას სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილებები.

დავით აღმაშენებლის საზოგადოების პრეზიდიუმმა მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსადმი. საქმე ეხება იმას, რომ „ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 16 მაისის ბრძანებულების შესაბამისად და ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1985 წლის 24 მაისს მიიღო ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების, არყის შინ გამოხდის აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ", რომლის მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლები ეხება პასუხისმგებლობას შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების გამოხდის, გასაღების, შენახვისა და შეძენისათვის, რაც ფაქტობრივად რესპუბლიკის მოსახლეობის ეროვნული თავისებურებისა და ტრადიციების გაუთვალისწინებლად იმეორებს ზემოხსენებული საკავშირო ბრძანებულების მე-3 და მე-4 მუხლებს.

როგორც ცნობილია, საქართველო მევენახეობისა და მეღვინეობის ტრადიციული ქვეყანაა. აქ ღვინისა და სხვა სასმელების წარმოებისა და მოხმარების მრავალსაუკუნოვანი წეს-ჩვეულებაა გამომუშავებული. ჩვენ გვაქვს ღვინის დაყენების საკუთარი კახური და იმერული ტექნოლოგიები. ქართველი გლეხი შინნახად არაყსაც მხოლოდ მეღვინეობის ნარჩენებისა და ნაქარი, სხვა მიზნებისათვის გამოუყენებელი ხილისაგან ხდიდა. შინნახადი არაყი არასოდეს არ წარმოადგენდა მისთვის შემოსავლისა და თრობის წყაროს. ჭირსა და ლხინში, მძიმე ფიზიკური შრომისას ქართველი გლეხი მას იყენებდა როგორც მხნეობისა და ენერგიის წყაროს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების მიღების შემდეგ 1989 წლის 9 თვის ჩათვლით, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, რესპუბლიკის მოსახლეობას ჩამოერთვა 88.146 ლიტრი შინნახადი არაყი, მოსახლეობის მიერ ნებაყოფლობით ჩაბარებულია 60.809 ლიტრი, ჩამორთმეულია 17.126 სახდელი აპარატი, ნებაყოფლობით ჩაბარებულია 14747, შინნახადი მაგარი სპირტიანი სასმელების შენახვისა და რეალიზაციისათვის პასუხისგებაშია მიცემული 248 კაცი.

როგორც ამ ციფრებიდან ჩანს, რესპუბლიკის მოსახლეობამ ნახა გარკვეული მორალურ-ფსიქოლოგიური და მატერიალური ზარალი, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია უკმაყოფილება და ამან თავისი ერთ-ერთი გამოხატულება პოვა ისეთ არასასურველ მოვლენაში, როგორიცაა ვაზზე გულის აყრა, ზოგან კი საკარმიდამო ნაკვეთებში ვაზის გაჩეხვა. ყურადსაღებია ისიც, რომ ალკოჰოლიზმის დაძლევის თვალსაზრისით ბრძანებულების ამ მუხლებს დიდი გავლენა არ მოუხდენია, ვინაიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებიდან ჩანს, რომ არ შემცირებულა აღრიცხვაზე მყოფ ქრონიკულ ალკოჰოლიკთა რაოდენობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღმაშენებლის საზოგადოების პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების მე-14, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლები, რომლებიც ეხება პასუხისმგებლობას მაგარი სპირტიანი სასმელების გამოხდისა და შეძენისათვის, გაუქმდეს და თვით ბრძანებულების დასახელებაშიც შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები, ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 22 ივნისის ბრძანებულებაში „არყის შინ გამოხდისათვის პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე" შეტანილ იქნეს ზემოაღნიშნული წინადადებების შესაბამისი ცვლილებანი.

პრეზიდიუმმა განიხილა მრავალშვილიან და ხელმოკლე ოჯახთა განცხადებები.

პრეზიდიუმის დადგენილებით, 25 ოჯახიდან თითოეული, რომელსაც ჰყავს 8 და მეტი შვილი და ძალიან უჭირს, დაჯილდოვდა 2000 მანეთით.

14 ოჯახიდან თითოეული, რომელსაც ჰყავს 8 და მეტი შვილი, დაჯილდოვდა 1500 მანეთით.

ათას-ათასი მანეთით დაჯილდოვდა 56 მრავალშვილიანი ოჯახი.

მაშ ასე, 2000-2000 მანეთით დაჯილდოვდნენ: ნაკანი ქეთო (გალის რაიონი, სოფელი ჭუბურხინჯი), რეზესიძე ჯარამხან (გულრიფში, აჭარა), გობეჯიშვილი ნათელა (თბილისი), მჭედლიანი კატუშა (მესტია), მილდიანი-ჩხვიმიანი ოლია (მესტია, ფარი), ავალიანი ნანი (სოხუმი), შელეგია ნათელა (სოხუმი), ჩარკვიანი-კვიციანი მზიური (მესტია, ბეჩო), დარბაიძე ტასო (თბილისი), ბეგლარიშვილი ქეთევან (რუსთავი), ტყაბლაძე მიხეილი (თბილისი), მალანია-ეხვაია გულნარა (გალი, ნაბაკევი), მიქიანი კლარა (წალენჯიხა, ჭალე), ქურასბედიანი დარეჯან (ლენტეხი, გულიდა), სუბელიანი ახმათ (მესტია, ნაკარი), ფაცაცია ნესტან (გალი, განახლება), შენგელაია მარინა (თბილისი), გორდეზიანი ლიანა (ცაგერი, ტვიში), შუკვანი-ჭკადუა ნინა (მესტია, ლენჯერი), აბულაძე ცისანა (რუსთავი), ნიქარაძე თენგიზ (გარდაბანი, ლემშვენიერა), პავლიაშვილი თამარ (კასპი), ფორჩხიძე გულიკო (თბილისი), ხუციანიძე თემურ (წითელწყარო, არხილოსკალო), თვალავაძე ივანე (თბილისი).

აქ ჩამოთვლილთა შორის ბევრსა ჰყავს თორმეტი, თერთმეტი, ათი და ცხრა შვილი. მათ შორის არის რამდენიმე ბებიაც, რომლებიც გაჭირვებით ზრდიან ობლად დარჩენილ ოთხ და ხუთ შვილიშვილს. მაგალითად, ჯარმახან რეზესიძე, თვითონ 88 წლის მოხუცი, ზრდის ოთხ მცირეწლოვან შვილიშვილს.

1500-1500 მანეთით დაჯილდოვდნენ: ჩაგელიშვილი ლოლა (ქარელი), ხოზრევანიძე გუგული (ხულო, ფიჩხა), აკობია სევერიანე (ზუგდიდი, ურთა), გაბულდანი ეთერ (მესტია, ბეჩო), გოშუანი მაცგი (გარდაბანი, ფონიჭალა), არზიანი ნარი (სენაკი), მიქატაძე ლილი (ჭიათურა), მურღულიანი მედიკო (მესტია, ლატალი), ჯანაშია ლენა (მარტვილი, გაჭედილი), კვანჭიანი-ნიგურიანი ქეთევან (მესტია, მულახი), აფრიამაშვილი სოფიკო (ადიგენი), მძინარაშვილი ციალა (გორი, დიცი), ჭელიძე ნინო (თბილისი), ნებიერიძე ლალი (თბილისი).

1000-1000 მანეთით დაჯილდოვდნენ: რეხვიაშვილი მაგული (გარდაბანი, მზიანეთი), ხერგიანი ლოლა (გარდაბანი, ლემშვენიერა), ლიპარტელიანი რაისა (თბილისი), წიკლაური მარიამ (მანგლისი), კაცაძე ლორიტა (სამტრედია, წიაღობანი), სალუქვაძე რუსუდან (თბილისი), ჯავახიშვილი თამარ (გორი, სკრა), კვანჭიანი-ცინდელიანი ეკატერინე (მესტია, ჭუბური), ფოცხვერაშვილი ოთარ (ბოლნისი), ღვედაშვილი ირა (სიღნაღი, ბოდბისხევი), თვალავაძე ზაზა (თბილისი), გუგავა მარო (წყალტუბო, მაღლაკი), გამგებელი მაგული (საჩხერე), კვიციანი ავთანდილი (მესტია, ბეჩო), იოსელიანი ლილი (ზუგდიდი, ჭკადუაში), ქალიაშვილი ფატი (ხაშური), მეტონიძე-ბოკუჩავა ლეილა (აბაშა), გაგლოშვილი ნათელა (რუსთავი), კიკვაძე თინა (დაბა გულრიფში), ჩარკვიანი ოთარ (ლენტეხი, ცანა), ოტიაშვილი მარინე (თბილისი), კვანჭიანი თემურ (მესტია, ბეჩო), ჯოხაძე ნელი (გურჯაანი), ჩხეტიანი ჯულიეტა (მესტია, ბეჩო), გოგოლაური სირანა (გარდაბანი, ახალი სამგორი), აბრამიშვილი ლია (თბილისი), კვიციანი ჩოფე (მესტია, ბეჩო), დავითიანი გურჩანი (წალენჯიხა, ჭალა), ფარჯიანი გულიმზე (გარდაბანი), ცარციძე ცისანა (რუსთავი), ციმაკურიძე ნანა (თბილისი), ელუაშვილი ნატალია (ხაშური), თვალიაშვილი გიორგი (თბილისი), სამელია მედიკო (ზუგდიდი), ჩხეტიანი თამარ (თბილისი), ლომია ნუგზარ (სენაკი), ბეგიაშვილი ბაგრატ (გაგრა), პაპაშვილი ჯუმბერ (თეთრი წყარო, კოდა), ცინცაძე გიორგი (თბილისი), ხაჩიძე თენგიზ (გაგრა, სულევო), კვიციანი ნუგზარ (მესტია, ბეჩო), ოქრუაშვილი ოთარ (გურჯაანი), ასუმბანი ეთერ (მესტია, ლატალი), ჯოხაძე გივი (გულრიფში, ვარჩი), ხორგუანი ნანული (მესტია), ქუცურია ოთარ (სოხუმი), ზურაბიანი ზაურ (გარდაბანი), გირგვლიანი-ფარჯიანი დოდო (მესტია, ლატალი), ფარჯიანი ლიანა (მესტია, ლატალი), ჭიკაიძე ჟუჟუნა (თბილისი), ფარჯიანი კოტე (მესტია, ლატალი), გურგულიანი ნატო (გურჯაანი, უდაბნო), ჭოხონელიძე ლამარა (თბილისი), ნასარიძე ჯონდო (ამბროლაური, ზემო კრიხი), მჭედლიშვილი ნინო (თბილისი), ნადარეიშვილი ლამარა (თბილისი).

მოხდა ერთი საინტერესო ამბავიც. წინა პრეზიდიუმზე დაჯილდოვდა ხუთი შვილის მამა თბილისელი გივი ჯოხაძე. უცებ სოხუმიდან მოვიდა — სამადლობელი დეპეშა, თურმე იქაც ყოფილა გივი ჯოხაძე და თანაც ხუთი შვილის მამა... ამჯერად მასაც გამოეყო 1000 მანეთი.

ვინაიდან შეიცვალა ფულის გადარიცხვის წესი, დავით აღმაშენებლის საზოგადოება სთხოვს ყველა აქ დასახელებულ პიროვნებას, გამოგზავნონ ინდექსი და ზუსტი მისამართი. თან გამოაყოლონ (ვისაც არა აქვს გამოგზავნილი) ბავშვთა დაბადების მოწმობის ასლები, ინვალიდებმა — ინვალიდობის დამადასტურებელი ცნობები, ქვრივებმა — სათანადო ცნობები და ორგანიზაციათა შუამდგომლობები.

პრეზიდიუმზე აღინიშნა, რომ ამას წინათ საზოგადოების სექციების ხელმძღვანელებმა იოსებ მანაშეროვმა და ირაკლი ბინიაშვილმა დავით აღმაშენებლის საზოგადოებაში მოიყვანეს თბილისში სტუმრად მყოფი ნიუ-იორკელი ქართველი ებრაელები, რომლებმაც აღმაშენებლის ფონდში გადარიცხეს 30 ათასი მანეთი და გამოთქვეს საზოგადოებასთან თანამშრომლობის სურვილი. პრეზიდიუმს უნდოდა გაზეთის საშუალებით მადლობა გადაგვეხადა მათთვის, მაგრამ სტუმრებმა თქვეს, რომ გვარების გამოქვეყნება მაშინ აჯობებს, როცა უფრო მნიშვნელოვან დახმარებას გავუწევთ ქართველი ხალხის დიდებული მეფის სახელობის საზოგადოებასო...

დავით აღმაშენებლის საზოგადოება რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებს და კერძო პირებს კვლავ შეახსენებს ბანკში თავისი ანგარიშის ნომერს: 000700480.

წერილი „კომუნისტს"

ღვთაება... უღვთო ხელშია!..

ეროვნული

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებსა და კულტურის კერებს შორის ღვთაება, ანუ მარტყოფის სამონასტრო კომპლექსი, ოდითგანვე გამორჩეული იყო.

აქ დიდი კულტურულ-მწიგნობრული ცხოვრება სჩქეფდა, განსაკუთრებით XIII საუკუნიდან, როცა მონასტერსა და მის შემოგარენში რუსთველი ეპისკოპოსები დამკვიდრდნენ — ისინი ხომ აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქვეყნის კულტურულ და სამხედრო ცხოვრებაში.

საუკუნეთა მანძილზე, აგვისტოს მიწურულს, მარიამობისას, საქართველოს ყველა კუთხიდან მოეშურებოდნენ აქეთ წმინდა მარიამის დღესასწაულზე. იყო საყოველთაო მხიარულება, ღამისთევიანი ნადიმი; ადიდებდნენ და ღმერთს ავედრებდნენ სამშობლოს, მიცვალებულებსა და მამულისთვის თავდადებულთ შესანდობარს უთვლიდნენ პურ-ღვინით. ღვთაებობის დღეობა წარსულში არაერთ ქართველსა თუ უცხოელს აღუწერია (პ. იოსელიანი, ნ. ბერძენოვი, ჰაქსტჰაუზენი...).

ღვთაების სამონასტრო კომპლექსი ახლაც ამაყად დგას მთის კალთებზე და ძველებურად დინჯად გასცქერის სივრცეს.

აი, წმინდა მარიამის ეკლესიაც, არაერთგზის რომ გადაუკეთებიათ და ჩვენამდე უკვე XIX საუკუნის იერით მოუღწევია.

აქვეა XVII საუკუნის ძველი სამრეკლოც.

აგერ სვეტი, წარუშლელ შთაბეჭდილებას რომ ახდენს და VI საუკუნის თვალსაჩინო მოღვაწის — ანტონ მარტომყოფელის სახელს უკავშირდება. ანტონი ძმებთან — სხვა ცამეტ სირიელ მამასთან ერთად მოსულა საქართველოში და მასაც სამონასტრო მოძრაობისთვის ჩაუყრია საფუძველი.

სოფელ მარტყოფსაც ანტონ მარტომყოფელისაგან მიუღია ეს სახელწოდება. ადრე მას აკრიანი რქმევია.

მარტყოფის მონასტერი ნიშნავს არა სოფელ მარტყოფის მონასტერს (როგორც ეს შეცდომით ესმით ხოლმე), არამედ მონასტერს ანტონ მარტომყოფელის, მარტყოფისა, რომლისგანაც ერთდროულადაა ნაწარმოები როგორც სამონასტრო კომპლექსის, ისე სოფლის სახელწოდებაც...

ტრადიციული გზა ღვთაებისაკენ სოფელ ნორიოზე, ნორიოხევის აყოლებით გადის. ისტორიულ-გეოგრაფიულადაც მარტყოფის მონასტრის ტერიტორია ნორიოს მიწა-წყლის გაგრძელებაა. ამდენად, სავსებით ბუნებრივია, რომ სამონასტრო კომპლექსი გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ და სახელმწიფოს მიერ დაცულ ძეგლადაა მიჩნეული (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია ტ. 5).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, დიდხანს, ღვთაებას, მსგავსად სხვა ეკლესია-მონასტრებისა, „ახალი ცხოვრების ზოგიერთი მშენებელი" მარტოოდენ ძველი ყოფის, რეაქციული სამღვდელოების ბუდედ თვლიდა. ცხადია, ღვთაებობაზე ასვლასაც რელიგიურ ცრურწმენად მიიჩნევდნენ. არცთუ დიდი ხნის წინ გზაზე საგანგებოდ გამოგზავნილი მილიციელები იდგნენ, რომელთაც აქეთ ხელმძღვანელობისა ეშინოდათ (ღვთაებაზე ხალხი არ აუშვათო!), იქეთ კი ხალხისა ერიდებოდათ — მამა-პაპის სულის მოსახსენიებლად ჭიქა ღვინის ასაწევად რომ მიეშურებოდა...

და აი კვლავ შეიცვალა დროება, ხალხმა, რომ ეკადრება, იმგვარი პატივი მიაგო ღვთაებას. ამ ცოტა ხნის წინ ღვთაებაში თავად სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II აბრძანდა, ერიც დალოცა და საეკლესიო ცხოვრებასაც ახალი სული შთაბერა. ამიერიდან სამონასტრო კომპლექსი საიმედო მცველის ხელშია.



და მაინც, ჩვენ რომ გვაწუხებს, ამაზე ხმა არავის ამოუღია საქვეყნოდ. იმ საყოველთაო აღტაცებაში, რომელიც ოდითგანვე ეუფლებოდათ ღვთაების მხილველთ, ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ძეგლის გარემოც წარმოადგენდა. ადრე აქ მთიანი მასივი იყო, ტყითა და წყაროებით მდიდარი. იქვე, ღვთაების შემოგარენში, თლილი ქვით ამოშენებული ანკარა წყარო მორაკრაკებდა.

მაგრამ... ამ რამდენიმე წლის წინ ტრაქტორებისა და ბულდოზერების არმადა ესტუმრა ღვთაების შემოგარენს, უმოწყალოდ თხარეს იქაურობა და გააჩანაგეს.

მოსახლეობამ ამ ბარბაროსული აქციის შეჩერება მოითხოვა, მაგრამ... ცხვირწინ დოკუმენტები აუფრიალეს!.. მაშინ ამ ტერიტორიას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო პატრონობდა და ღვთაების შემოგარენში სპეციალური მიწისქვეშა ნაგებობის მშენებლობასაც ის თაოსნობდა. ბუნკერები, ბუნკერები!..

მერე რა მოხდა? დაიწყო ჩივილი სათანადო ინსტანციებში. იყო დამშვიდებებიც — ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ღელავთ.

მერე? მერე ტექნიკა წავიდა. არავითარი ბუნკერები არ აშენებულა. უამრავი თანხა დაიკარგა (დაიკარგა?) და პასუხისმგებელნიც გაუჩინარდნენ. გაპარტახდა იქაურობა, დარჩა ვეშაპის ხახასავით პირდაფჩენილი ხელოვნური ღრმულები. უნიკალური ლანდშაფტის ხელყოფაზე რომ არაფერი ვთქვათ, მეწყერსაშიში გახდა იქაურობა. ღმერთმა ნუ ქნას, თორემ შუა საუკუნეების ქართული კულტურის ეს ერთ-ერთი სიამაყე შესაძლოა მეწყერმა დაიტანოს.

სად არიან ისინი, ამოდენა ცოდვა რომ დაიდეს ერისა და ბერის წინაშე? ჩვენი ეკოლოგიური უსაფრთხოების თავკაცები თუ მიაგნებენ მათს კვალს!..

დროა, ყველაფერს თავისი სახელი ვუწოდოთ, და ნურც საგანგებო კომისიების გამოყოფას დაველოდებით!..

ვფიქრობთ, შემდეგი დოკუმენტებიც იკმარებდა ამ სევდიანი და სავალალო ამბის წარმოსადგენად:

I

„საქართველოს სსრ ძეგლთა დაცვის თავმჯდომარეს **ი. ციციშვილს.**

ნორიოს სასოფლო საბჭოს აღმასკომი გაცნობებთ, რომ სოფლის ტერიტორიაზე არსებობს ნორიოს ღვთაების მონასტერი, რომელიც ექვემდებარება ფინანსთა სამინისტროს. ეს ორგანიზაცია მონასტრის ტერიტორიაზე აშენებს სპეციალურ ნაგებობას, რითაც უკარგავს მონასტერს პირვანდელ სახეს და იწვევს სოფლის მოსახლეობის უკმაყოფილებასა და გულისწყრომას.

გთხოვთ, მიიღოთ სათანადო გადაწყვეტილება ზემოთ აღნიშნულზე, რათა მონასტერმა არ დაკარგოს პირვანდელი სახე.

ნორიოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე (მ. ა. აბრამიშვილი)."

II

„გარდაბნის რაიონის სოფ. ნორიოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. მ. ა. აბრამიშვილს.

გაცნობებთ, რომ ნორიოს ღვთაების მონასტერს შეფობას უწევს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო. ღვთაების მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის სპეციალური ნაგებობის მშენებლობა, რომელიც პროექტით მშენებლობის დამთავრების შემდეგ მთლიანად დაიფარება მიწით და დაირგვება მწვანე საფარი. ამდენად აღნიშნული ნაგებობა მომავალში არ დაუკარგავს ძეგლს პირვანდელ სახეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი ირ. ციციშვილი.

შემსრ. ბ. კუპრეიშვილი".

III

„საქართველოს სსრ ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო საწარმოო სამმართველოს უფროსს ამხ. ირ. ციციშვილს.

მიუხედავად იმისა, რომ 10/X-87 წ. წერილით (№ 833) გაცნობეთ, რომ სოფელ ნორიოს ტერიტორიაზე მდებარე ღვთაების მონასტრის შემოგარენში ფინანსთა სამინისტრომ 1985 წელს დაიწყო სპეციალური ნაგებობის მშენებლობა და თქვენი წერილის (№02/1366 21/XII 87) თანახმად არ დაუკარგავს ძეგლს პირვანდელ სახეს, უნდა გაცნობოთ, რომ გრუნტი ამოთხარეს და გაზიდეს ტერიტორიის შემოგარენზე, რამაც გამოიწვია მიწის დიდი ფართობის დაცურება და პირვანდელი მდგომარეობის დამახინჯება.

მოგახსენებთ, რომ გათხრილია დაახლოებით 1500-2000 კვმ ფართობის ორმო, სადაც ჩამდგარია თოვლის და წვიმის წყალი, რაც საშიშროებას უქმნის მთლიანად ქედის მოცურებას და შეიძლება მოცურებულმა ქანებმა დააზიანოს ღვთაების მონასტერიც — ძირი გამოუთხაროს მე-5 საუკუნეში აგებულ ანტონ მარტომყოფელის ისტორიულ ძეგლს. ამჟამად ნაწილობრივ დაწყებულია მიწის მოცურება.

თქვენთვის კარგადაა ცნობილი, ჩვენი მთავრობა და პარტია თუ როგორ ზრუნავს ისტორიული ძეგლების დაცვასა და მოვლაზე. ნორიოს ღვთაების მონასტერმა მრავალ მტერთა შემოსევას გაუძლო და მოაღწია ჩვენამდე, მაგრამ შენობის დადგმის მიზნით სამუდამო მოსპობა ელის მას.

გთხოვთ, სასწრაფოდ შეამოწმოთ და მიიღოთ გადამჭრელი ზომები ძეგლის გადასარჩენად.

ნორიოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავ-რე (მ. ა. აბრამიშვილი)."

გადის დრო, საშველი კი არ ჩანს.

ნუთუ ბოროტება ისევ უსახოდ დაიარება?!

შოთა ბადრიძე.
გიორგი წიბახაშვილი.
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები.

• • •

სურათზე: ასე უთხრიან ძირს ანტონ მარტომყოფელის კოშკს.
ოთარ სომხიშვილის ფოტო.

სპორტის ამბები

◆

იტალია—90

მოახლოვდა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელიც 1990 წლის 8 ივნისიდან 8 ივლისამდე გაიმართება იტალიის სტადიონებზე. და აი, ამ ეტაპში მოასპარეზე 24 გუნდი წილისყრით 6 ჯგუფად დაიყო.

ქვემოთ გთავაზობთ წილისყრის შედეგებს:

პირველი ჯგუფი (მატჩები გაიმართება რომში და ფლორენციაში). იტალია, ავსტრია, აშშ, ჩეხოსლოვაკია;

მეორე ჯგუფი (ნეაპოლი, მილანი და ბარი). სსრ კავშირი, არგენტინა, რუმინეთი, კამერუნი; ამ ჯგუფის მატჩები გაიმართება შემდეგი განრიგით: **8 ივნისი (მილანი).** არგენტინა — კამერუნი; **9 ივნისი (ბარი).** სსრ კავშირი — რუმინეთი; **13 ივნისი (ნეაპოლი).** არგენტინა — სსრ კავშირი; **14 ივნისი (ბარი).** კამერუნი — რუმინეთი; **18 ივნისი (ნეაპოლი).** არგენტინა — რუმინეთი; **ასევე 18 ივნისს (ბარი.)** კამერუნი — სსრ კავშირი.

მესამე ჯგუფი (ტურინი და გენუა). ბრაზილია, კოსტა-რიკა, შოტლანდია, შვეცია;

მეოთხე ჯგუფი (მილანი და ბოლონია). გფრ, იუგოსლავია, არაბთა გაერთიანებული საამიროები, კოლუმბია;

მეხუთე ჯგუფი (ვერონა და უდინე). ბელგია, სამხრეთ კორეა, ურუგვაი, ესპანეთი;

მეექვსე ჯგუფი (კალიარი და პალერმო). ინგლისი, ეგვიპტე, ჰოლანდია, ირლანდია.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის მეორე ეტაპზე იასპარეზებენ ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსული გუნდები, აგრეთვე მესამე ადგილებზე გამოსული ექვსი გუნდიდან ოთხი კოლექტივი (საუკეთესო მაჩვენებლების გათვალისწინებით).

რაც შეეხება ბოლო, ფინალურ, მატჩს, იგი მოეწყობა რომში — 8 ივლისს.

ჯანსუღ ნიქაბაძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტი ჯანსუღ ნოეს ძე **ნიქაბაძე.**

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი შემოქმედი და მოქალაქე, რომელიც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა მშობლიურ ლიტერატურას, თავისი წვლილი შეჰქონდა მის წინსვლასა და განვითარებაში.

ჯანსუღ ნიქაბაძე დაიბადა 1929 წლის 3 ნოემბერს აბაშაში. 1948 წელს საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე, რომელიც 1953 წელს დაასრულა. სხვადასხვა დროს ჯანსუღ ნიქაბაძე მუშაობდა გამომცემლობა „ნაკადულსა" და „საბჭოთა საქართველოს" რედაქტორად, ჟურნალ „საქართველოს ბუნებაში", საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილედ. სადაც არ უნდა ემუშავა, ყველგან პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა ახასიათებდა, ყოველთვის პირნათელი იყო მშობელი ხალხის, თანამოკალმეების წინაშე.

ჯანსუღ ნიქაბაძე ქართველ პოეტთა იმ თაობას ეკუთვნოდა, რომელმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში" აიდგა ფეხი. მას შემდეგ ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა. მისი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა პოეტურ კრებულებს „ნაკადულის სათავე", „ამბოხებული სამთავრო", „როგორც ახლობელს", „ლექსები", „გამხიარულდი ბუხარო"... ამ კრებულებში გამჟღავნდა წინაპართა წმინდა სახელების ღრმა პატივისცემა, სამშობლოს ნათელი მომავლის რწმენა, — ყოველივე ის, რაც ოდითგანვე პოეზიის მარადიულ თემებს წარმოადგენს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჯანსუღ ნიქაბაძის საბავშვო პოეზია. „ჩიტბატონა", „მზეწვია", „ბაჭია ხვრინიების ვაგონში", „ოცნების ქვეყანა", „თათუჩინას თავგადასავალი" და მრავალი სხვა ყმაწვილების საყვარელ წიგნებად იქცა.

მძიმე, უკურნებელი სენის მიუხედავად იგი მისთვის ჩვეული ენერგიით იღვწოდა სამწერლო სარბიელზე. ამის დასტურია ისიც, რომ სულ ახლახან „ნაკადულში" გამოიცა პოეტის შესანიშნავი კრებული „ეს ქალაქი ვისია?!", რომელიც პატარების სიყვარულით, მათზე ფიქრითა და ოცნებითაა გაცისკროვნებული.

ჯანსუღ ნიქაბაძე აღარაა ჩვენს გვერდით, მაგრამ ქართველ მწერლებს მუდამ ემახსოვრებათ სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილი მათი თანამოკალმის ნათელი სახე.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა.

ნოემბრის ბოლოს მიღებულ სარედაქციო ფოსტას ჯანსუღ ნიქაბაძის ლექსიც მოჰყვა, იგი პოეტს საავადმყოფოდან გამოეგზავნა მცირე მინაწერით: „გიგზავნით პატარა ლექსს, ვფიქრობ დროულია. მე ბევრი მეგობარი მყავს ცხინვალში ოს პოეტებს შორის. მინდა ჩემი პატარა წვლილიც ერიოს ჩვენი ორი ხალხის მეგობრობის საქმეში".

ლექსმა „ღია ბარათი ოს პოეტებს", ყურადღება მიიქცია არა მარტო თანადროულობით, არამედ პოეტურობით, თანამოძმისადმი სიყვარულის და ტკივილის გამომჟღავნების გულითადი სურვილით. იგი მაშინვე მოვამზადეთ დასაბეჭდად, მაგრამ სამწუხაროდ გამოქვეყნება დაგვიგვიანდა...

ღია ბარათი ოს პოეტებს

დიდი ხანია ველოდი ამ წამს
და ჰა!
საფრენად ვარ შემართული,
ძმებო, უთქვენოდ სიმღერა არ მწამს,
ოსურია თუ ჰანგი ქართული.
უძმოდ, უმოყვროდ რის მაქნისია
ჩვენი ჯილაგი,
სისხლი ბებერი,
ქართველი თქვენში ხედავს მისიანს,
ჩვენ უნდა შევძლოთ შეუძლებელიც.
მაინც რა ჯადომ,
რა საოცრებამ,
შემკრა, შემბოჭა, რომ ვერ მოვედი,
იქნებ თქვენ მითხრათ, ძმებმა, მგოსნებმა,
რა სასწაულმა შეჰქმნა პოეტი.
ერთი ცა გვხურავს, ერთი კლდისა ვართ,
სალამურებად ერთად გაგვთალეს,
ვინმე თუ ეძებს დღეს ჩვენს მისამართს,
კავკასიონზე ნახავს სათავეს.

ტელეტაიპის ლენტიდან

ნოვა-გუთაში აიღეს ლენინის ძეგლი

ვარშავა. კვირას გვიან საღამოს მეტაკლეაუეთა სპეციალიზებულმა ბრიგადებმა აიღეს ვ. ი. ლენინის ძეგლი კრაკოვის ნოვა-გუთას რაიონში. ქანდაკება კვარცხლბეკიდან დაუზიანებლად მოხსნეს და გადაიტანეს დაბა ერუზბლევიცში, კრაკოვის მახლობლად, სადაც სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდება. მათი დამთავრების შემდეგ კრაკოვის საქალაქო სახალხო საბჭოსა და ნოვა-გუთის რაიონული სახალხო საბჭოს პრეზიდიუმები მიიღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას ძეგლის ახალ ადგილას დადგმის თაობაზე.

თავის მხრივ, კრაკოვის სახალხო საბჭოს კულტურისა და ხელოვნების კომისიის პრეზიდიუმმა მოიწონა წინადადება კრაკოვში ვ. ი. ლენინის მუზეუმის გაუქმების შესახებ. მუზეუმის მთავარი შენობა გადაეცემა მუსიკის აკადემიას, ხოლო მუზეუმის ფილიალი — ბინა დედოფალ იადვიგის ქუჩაზე მდებარე სახლში, სადაც ვ. ი. ლენინი ემიგრაციის წლებში ცხოვრობდა, ექსპონატებთან ერთად გადაეცემა კრაკოვის ისტორიულ მუზეუმს.

პრეზიდენტი კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ

ლუანდა. მპლა-შრომის პარტიის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟოზე ედუარდუ დუშ სანტუშმა დაადასტურა, რომ ანგოლის ხელმძღვანელობა მზად არის განაგრძოს ქვეყანაში ვითარების მშვიდობიანი მოწესრიგების გზების ძიება. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ანგოლაში საშინაო კონფლიქტის გადაწყვეტის ერთადერთი საფუძველია მორიგებანი, რომლებსაც მიაღწიეს მთავრობასა და უნიტას დაჯგუფებას შორის ამა წლის ივნისში ზაირის ქალაქ გბადოლიტში. ისინი ითვალისწინებენ ანგოლაში ცეცხლის შეწყვეტას, უნიტის ლიდერის ჟ. სავიმბის მიერ პოლიტიკური საქმიანობისათვის დროებით თავის დანებებას და მისი დაჯგუფების წევრთა ინტეგრაციას ანგოლის საზოგადოებასთან მათ მიერ ქვეყნის კონსტიტუციისა და სხვა კანონების პატივისცემის პირობით.

მიტინგი გორში

ქართველებსა და ოსებს ურთიერთპატივისცემით გამსჭვალულ კეთილმეზობლურ ცხოვრებას რომ ვერავინ ასწავლის, ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა ამ ორი ხალხის მეგობრობის მიტინგმა, რომელიც 9 დეკემბერს გაიმართა გორში.

ბამბეულის საფეიქრო-სამკერვალო საწარმოო გაერთიანების კულტურისა და ტექნიკის სასახლის ვეებერთელა დარბაზმაც კი ვერ დაიტია მიტინგზე დასწრების ყველა მსურველი. აქ მოვიდნენ გორის, ცხინვალის, ლენინგორის, ქარელის, ზნაურისა და სხვა რაიონების ქართულ-ოსური მოსახლეობის წარმომადგენლები.

ორატორთა გამოსვლები მოიცავდა სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ საკითხებს, რომლებიც თავად ცხოვრებამ დააყენა დღის წესრიგში და სამართლიან, გონივრულ გადაწყვეტას მოითხოვენ. და მაინც მთავარი, რაც წითელ ზოლად გასდევდა გამომსვლელთა სიტყვებს, ის იყო, რომ ყოველნაირად უნდა ვახაროთ და ვზარდოთ ქართველთა და ოსთა ძმობისა და მეგობრობის ნერგი, არ შეურაცხვყოთ მათი წმინდა სახელები, ვინც ჩვენს ხალხებს სიახლოვე და დამოყვრება უანდერძა.

მიტინგის მონაწილეებმა დასახეს ღონისძიებანი ქართველი და ოსი ხალხების მეგობრობის ასოციაციის შესაქმნელად.

გურამ ვაშაკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია თოვლ-ჭყაპი, მთებში თოვლი, ზოგან ძლიერი, ზვავსაშიშროება, დასავლეთის ქარი 9-14, ღამით 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით მინუს 1 — პლუს 4, დღისით 1-6 გრადუსი სითბო, მთაში ღამით 1-6 გრადუსი ყინვა, დღისით მინუს 4 — პლუს 1, მაღალმთიანეთში ღამით 4-9, დღისით 1-6 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოს — უმეტეს რაიონში თოვლი, როკისა და ჯვრის უღელტეხილზე ზვავსაშიშროება, დასავლეთის ქარი 9-14, ალაგ-ალაგ 20-25 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში ღამით მინუს 4 — პლუს 1, დღისით 1-6 გრადუსი სითბო, მთაში ღამით 2-გრადუსი ყინვა, დღისით 0 — მინუს 5 გრადუსი.

რედაქტორი **ნ. ჩერქეზიშვილი.**

ტელევიზია—სამშაბათი, 12 დეკემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 10.55 — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა II ყრილობის გახსნა. დასასრულს — კონცერტი (მ.). 15.55 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — ქართული ენის ტელეკურსი. 16.30 — კინონარკვევი. 16.45 — საერთაშორისო დღიური. 17.20 — შევისწავლოთ ინგლისური ენა. 17.50 — კინოჟურნალი „მინდა ყველაფერი ვიცოდე". 18.00 — მოსწავლეთათვის. „საუკუნეები და თაობები". 19.15 — განცხადებები. 19.20 — დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — „მზეთა ქვეყანა" გაბრიელ ჯაბუშანური. 22.00 — „ვრემია". 23.00 — „ქართველი მუსიკოსები საზღვარგარეთ". (საქართველოს სიმფონიური ორკესტრი გდრ-ში).

მეორე პროგრამა. 15.05 — სატელევიზიო დადგმა „დაგვიანებული ყვავილები". 16.35 — მოსწავლეთათვის. საზოგადოებათმცოდნეობა. 17.20 — ქართული მხატვრული ფილმი „გზა შინისაკენ". 18.35 — ცენტრალური ტელევიზიის გაცვლითი ფონდიდან — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა. 19.20 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბიძინა". 20.00 — მოამბე. 20.35 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „დაპირისპირება". 21.05 — მოკლემეტრაჟიანი სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ორი კომედია".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — მხატვრული ტელეფილმი „ბუდულაის დაბრუნება". II სერია. 10.55 — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის გახსნა. დასასრულ — სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები. 16.45 — მსოფლიოს ხალხთა შემოქმედება. „ჭემჩუჟინი კრილეცი" (ჩეხოსლოვაკია). 17.15 — დოკუმენტური ტელეფილმი „ფული გარდაქმნისათვის". 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.00 — მუზეუმი დელეგატსკაიაზე. „ჩრდილოეთის ირმების ბილიკი". 18.30 — „გუნდი პლუს ჩვენ". 19.15 — ჟურნალი „ტელეეკო". 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ახალგაზრდული ფოლკლორული კოლექტივების კონცერტი. 20.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.50 — მხატვრული ტელეფილმი „ბუდულაის დაბრუნება". III სერია. 22.00 — „ვრემია". 23.00 — მხატვრულ-პუბლიცისტური ფილმი „ბავშვობიდან ნაცნობი სიმღერა". 0.15 — დღეს მსოფლიოში. 0.30 — მუსიკალური პროგრამა „ნარინჯისფერი მიკროფონი".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 — ფიზიკა. XI კლასი. 10.05 — ფრანგული ენა. 10.35 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 10.55 — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის გახსნა. დასასრულ — სსრ კავშირის ხალხთა სიმღერები და ცეკვები. 18.00 — წელიწადის ყველაზე ცხელი დრო — „სარატონი" (ტაშკენტი). ახალგაზრდული თეატრების საერთაშორისო ფესტივალის შესახებ. 19.00 — სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა. შესვენებისას— „ძილი ნებისა, პატარებო!".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07140 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14